ეროვნული ბიბლიოთეკა

ეიფინეული

1929 სახელგამი № 21

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ათი წლის თავი

20 ნოემბერს სრულდება ახალგაზრდათა **კომუნისტური** ინტერნაციონალის, მთელი მსოფლიო მუშა ახალგაზრდობის ხელმძღვანელი შტაბის, 10 წლის თავი. აკი კომინტერნის ღირსეული თანაშემწეა, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდათა კომკავშირებს მთელ მსოფლიოში და ხელმძღვანელობს მათ. ამრიგად ყველა ქვეყნის კომკავშირების თვითეული წევრი ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის წევრიცაა.

ჩვენი **კომკავშირის** მდგომარეობა ბევრად უკეთესია, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების კომკავშირის. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მარტო კომკავშირის რიგებში ყოფნისათვის კომკავშირელს ციხეში და კატორღაში აგზავნიან.

საჭირია უკეთ ვეხმარებოდეთ დასავლეთის მოძმე ორგანიზაციებს. ის შაურები, რომელსაც აგროვებენ ჩვენი ქვეყნის კომკავშირლები, საშუალებას მისცემს ბურჟუაზიული და ფაშისტური ქვეყნების კომკავშირლებს მეტის ენერგიით და თავდადებით იბრძოლონ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის.

ყოველ კომკავშირელს და მის თანაშემწეს—პიონერს მუდამ უნდა ახსოვდეს **ლენინის** სიტყვები, რაც **აკი**-ს პროგრამაა და რასაც ის ანხორციელებს.

„ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, იმას, რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, თუ ის თავის სწავლას, აღზრდას და განათლებას დაუკავშირებს ყველა მშრომელის მონაწილეობას საერთო ბრძოლაში ექსპლოატატორების წინააღმდეგ.“

ამხანაგო პიონერებო! კომკავშირელები ხომ ჩვენი უმოროსი ძმები, ამხანაგები და ხელმძღვანელები არიან. ჩვენი მოვალეობაა, კარგი კომკავშირელები შევიქნეთ **და** მონაწილეობა მივიღოთ მთელი ქვეყნის დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეში და სოციალისტური საზოგადოების აშენებაში.

აკი ჩვენი ხელმძღვანელიცაა. ამიტომ აკის 10 წლის თავი უნდა ჩავატაროთ მჭიდროდ კომკავშირთან ერთად შემდეგი ლოზუნგების ქვეშ:

მთელი ბავშობის დარაზმვა სკოლაში ორწლიანობასთან საბრძოლველად და შეუკავშირებელ ბავშობაში მასიურ-კულტურული მუშაობის გასაღრმავებლად: შეუკავშირებელ ბავშების თანდათანობით პ/კოლექტივებში ჩაბმა, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, თითოეულ პიონერს თითო ჟურნალი **„პიონერი“**. ზემოაღნიშნულ ამოცანათა ჩასატარებლად უნდა გამოცხადდეს სოციალისტური შეჯიბრი.

ბეჭდვითს და კედლის გაზეთებში მოწყობილ იქნას ინტერნაციონალური მუშაობის გადასინჯვა და გაშუქებულ იქნას საზღვარგარეთის ბავშთა ცხოვრება. ათი წლის თავის აღსანიშნავად საქმიანი კავშირი იქნას გაბმული საზღვარგარელ კოლექტივებთან და დადებულ იქნას სოციალისტური შეჯიბრი სხვადასხვა სახის მუშაობაზე.

გაუმარჯოს **აკი**-ს 10 წლის თავს!

გაუმარჯოს ლენინურ კომუნისტურ პარტიას (ბ), კომკავშირს და პიონეროორგანიზაციას!

ლენინის საქმისათვის ვიყოთ მზად!

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვ.
1.	ორი ლტოლვილი — მოთხრობა, — **ე. პოლუმორდვინოვის**	1
2.	სოციალისტური შეჯიბრი და პიონერთა ორგანიზაციის ამოცანები, — **ა. ადამიასი**	5
3.	შვიდი ნოემბერი ტფილისში, — **კ. მელაძის**	6
4.	ჩვენი ზეიმი, — ლექსი — **შ. შაველაშვილის**	7
5.	ვასოს გამოწვევა — ლექსი — **გ. კაჭახიძის**	7
6.	გაზეთი — ჩვენი ცოცხალი საქმე	8
7.	უშედეგო თავდასხმა, — მოთხრობა — **ს. წვერავასი**	10
8.	ტფილისის ზოოლოგიურ ბაღში, — **ა. მ—ლის**	14
9.	ერთის ნაამბობი, — პიონერ **ვანოსი**	15
10.	საქართველოს სარევოლუციო მუზეუმი, — **ი. აბაშიძის**	16
11.	ზვავი, — **შ. თ—ლის**	20
12.	აკი-ს 10 წლის თავი, — წერილი — **ვ. ლუარსამიძის** გარეკანის მეორე გვერდზე.	
13.	ჯანსაღი და ახალი სიმღერებისათვის, — **გ. ლომიძის** გარეკანის მესამე გვერდზე.	
14.	7 ნოემბერი უცხოეთში, — წერილი — **ვ. ლ.** გარეკანის მეოთხე გვერდზე.	

329.15 პ (051)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰორნეტი

1929
15 ნოემბერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშებისათვის

წელიწადი IV
№ 21

ორი ლტოლვილი

სადგურ მანჯურიაში.

ყოველი დილა ოქროსფრად თენდება აქ. მზე მალალ შუბებზე ებჯინება ხოლმე და ამაყად იცქირება, საღამოობით კი „თეთრი მთების“ იქით იმალება და მაშინ რჩება ცაზე მხოლოდ მთვარე დამტვრეულ ღრუბლებში, და ეს ღრუბლები მისი შუქით ბრწყინავენ ვერცხლის, გიშრის და მარმალილოს ფერად.

ასეთი ლამაზი ცა ახურავს მანჯურიას.

მიწა კი, მიწაც ლამაზია—მწვანე ბალახებით, ბუჩქებით, წიწვიანი ხეებით და სინოყივრით სავსე.

სადგური მანჯურია მძინარივით გამოიცქირება, ცოცხლდება დღეში რამდენჯერმე, ეს მაშინ, როდესაც მატარებელი შემოდის ან გადის და უამრავი თვალი აცილებს ნაცნობებს, ნათესავებს.

მაშინ აფრიალდება ხოლმე ფერადი ბაღდადები, თეთრი ხელსახოცები, ქუდები, და ხელების ქნევაში პატარავდება ეს რკინის დაუღალავი უზარმაზარი მოგზაური.

ჩინელი პატარა ბავშები გროვდებიან მატარებლის გუგუნის დროს და მგზავრებს ეხვეწებიან მისცენ ტვირთი წასაღებად. ისინი საწყლად უცქერიან თავიანთი ბრტყელი, ცხვირთან გასწორებული და ვიწრო თვალებით და როდესაც კალათს ან ჩემოდანს ხელში იგდებენ, ყოველ ჩამომდნარ სახეზე ბავშური სიხარული ათამაშდება, და მიბაკუნობენ მოსუფთავებულ გზაფენილზე, შემდეგ კი, როდესაც სადგური დაცალიერდება, სხდებიან კიბეებზე, ზოგი ხახაგამშრალია, რომელთაც ვერცერთი გროში ვერ იშოვნეს და შესცქერიან მათ, ვინც ნაშრომი ფულით სტკბება.

ასეა მუდამ, ყოველდღე, ყოველ დილით, ყოველ საღამოთი.

ლ ი ნ ი

ლინი პატარა მანჯურიელია. მისი მამა ჩინელმა გენერლებმა იმსხვერპლეს მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთს ებრძოდენ ბატონობისათვის. ის იყო ძალად გაწვეული ჯარისკაცი, მისცეს თოფი ხელში და უთხრეს: „მოჰკალი შენივე მოძმე“; ის სხვებს ესროდა, მაგრამ თვითონაც მოხვდა ცხელი ტყვია.

ახსოვს ლინს შიმშილი, სიცივე, პოლიციელების დევნაც მაშინ, როდესაც ის უპატრონოდ დადიოდა ქუჩა-ქუჩა და თავშესაფარს ხან ერთი ღობის ძირში ნახავდა, ხან მეორეში. ახლა ლინი ერთ ჩინელ მედუქნესთან არის მოჯამაგირედ, რომელსაც ხან-ლიუ ჰქვია. ის ტანმსხვილია და მუცელგამოგდებული. მისი დასიებული თვალის ქუთუთოები ისე იცქირებიან, თითქოს გუგებს შთანთქმას უპირებენო. ის ვაჭრობს ხილსა და სანოვაგეს. მუშტრებს ელაპარაკება წყნარად, გაიძვერულად და ისე ტკბილად, თითქოს ენაზე თაფლი აცხიაო.

ახსოვს ლინს, ერთხელ, როდესაც ის მოკუნტული იჯდა ბაქანის ერთ-ერთ კუთხეში და შემოდგომის ცივ ქარს ემალებოდა, მოპირდაპირე ქუჩიდან ამ ხან-ლიუს დიდი ოთხთვალა მარხილით ვაშლი და ბანანები მოჰქონდა და, როდესაც მტვირთავებს ყუთები ზურგით გადმოჰქონდათ, რამდენიმე ყუთი დაიშალა, და ხილი დაიბნა.

მაშინ ხან-ლიუ მივიდა ლინთან, მჯდომარეს ფეხი წაჰკრა და დააყოლა:

— ეი, ქუჩის ბიჭო, ადექი, ვაშლები აკრიფე.

ლინმა მაშინვე ყურები სცქვიტა, ზეზე წამოხტა; რამდენი ხანია არაფერი არ გაუკეთებია, მოენატრა კიდეც შრომა. ის შინ მუდამ ეშველებოდა მამას, როდესაც ის ოუნუქისაგან აკეთებდა სხვადასხვა ჭურჭლეულს, მაგრამ დიდი ხანია მას შემდეგ, ახლა ხომ მამა აღარ ჰყავს.

გადაირბინა ბაქანი და დაუწყო შეგროვება. ბრახუნით ეცემოდა ვაშლები და ბანანები, და ხის ყუთები თანდათან ივსებოდა. შიოდა ლინს, მაგრამ როგორ გაბედავდა ჭამას, ვინ იცის, რას უზამდენ ამისთვის.

როდესაც უკვე შეაგროვა და ხან-ლიუმ უკანასკნელი ყუთი გადაატანინა, ის დასწვდა ერთ პატარა ბანანს და მოღიმარემ, თითქოს დიდ სიკეთეს სჩადისო, გაუწოდა ლინს შრომის გასამრჯელოდ.

წყლიანი თვალებით შეხედა ლინმა და ზანტად გაუწოდა ხელი ბანანს. გულში გაიტარა: „რა იქნება, რომ ესეც არ ავიღო“, მაგრამ მაშინვე გაუელვა შიმშილის ფიქრმა და უარი აღარ უთხრა.

მას შემდეგ რამდენჯერმე კიდევ სადღაც გაეკეზავნა ლინი, ბოლოს კი ხან-ლიუმ უთხრა:

— რას გეძახიან?

— ლინს.

— შენი მამა ალბათ მოჰკლეს, არა?

— დიაღ.

—დედა?

— მამაზე ადრე მომიკვდა.

— ჰო, უპატრონო ყოფილხარ. მაშ რადგან შენ პატრონი არა გყავს, ჩემს დუქანში იმუშავე. გაჭმევ და ჩაგაცმევ, სხვა რაღა გინდა?..

— მეტიც არაფერი,—უპასუხა გახარებულმა ლინმა.

მეტი რა უნდა სდომოდა მშიერ, შიშველ ბავშს, ან მეტი რა გაეგება მას. და დადგა მასთან ლინი მოჯამაგირედ.

ის დგებოდა რიჟრაჟისას, როდესაც ჯერ კიდევ ლურჯი იყო ცა და მზის ერთი სხივიც კი არა ჩანდა. ეზიდებოდა დიდრონ კალათებს ბაზარში, სიცივე და ქარი კი მის ღია და გახეულ უბეებში თავისუფლად ნავარდობდა. იძინებდა გვიან, როდესაც უკანასკნელი მატარებელი გადიოდა სადგურიდან. დაიწყო ლინისათვის შრომის კი არა, ტანჯვის დღეები.

ფ ე დ ი ა

სადგურის უფროსის თანაშემწე საბჭოთა მოქალაქეა. ის სამსახურშია აქ გადმოგზავნილი მშრომელთა ქვეყნიდან. სადგურზე გაშენებულია ორსართულიანი სახლი. ის ცხოვრობს იქ ცოლით და ერთადერთი შვილით, პატარა ფედიათი, რომელიც ყოველ დილა, ვიდრე სასწავლებელში წავიდოდეს, ფანჯრიდან უცქერის ხოლმე ორთქლმავლების ძოძრაობას, კივილს. მაშინ კი, როდესაც სკოლიდან ბრუნდება, მოირბენს ხოლმე ხან-ლიუს დუქანში, ერთ კოლოფ ასანთს იყიდის და წასჩურჩულებს ლინს ყურში:

— შემოირბინე ჩვენს ეზოში, როცა მოახერხო,—და უკან ბრუნდება.

ლინიც, როდესაც მას ბატონი სხვაგან ჰგზავნის, ჯერ მასთან შეირბენს ხოლმე, რამდენიმე ხანს რჩება იქ, შემდეგ კი შურდულივით გაქანდება საქმეზე, რომ აინაზღაუროს ფედიასთან დახარჯული დრო.

ლინი და ფედია მეგობრები არიან. ეს არ იცის ხან-ლიუმ. ლინმა უთხრა, რომ ბატონს არ უნდა გააგებინონ, თორემ ცუდი შედეგი მოჰყვება ამას. შეიძლება გაამათრახონ ან კიდევ დაითხოვონ დუქნიდან, მერე ხომ ისევ ქუჩაში უნდა იყოს?

ლინმა დამტვრეული რუსული ისწავლა და ფედიასთან ლაპარაკობს ხოლმე თავგამოდებით. როდესაც ისინი ერთად არიან, ფედია სხვადასხვა წიგნებს და სურათებს უჩვენებს, ელაპარაკება თავისი გაკვეთილის შესახებ და პირდება, რომ წერა-კითხვას ასწავლის.

კვირადღეობით ბატონი ხან-ლიუ ორი საათით ათავისუფლებს ხოლმე ლინს, და მაშინ ლინი პირდაპირ ფედიასთან გარბის, ის კიდევ ასწავლის მას და უამბობს, რაც მამისგან გაუგონია.

ასე გადის დრო. ლინის და ფედიას მეგობრობა უფრო ღრმავდება, მტკიცდება. ის სწავლობს ფედიასგან ბევრს მისთვის უცნაურს რამეს, და პატარა ლინს გული სიხარულით ევსება. დუქანში კი შრომობს, დგება მზეზე ადრე და იძინებს მაშინ, როდესაც მთვარე „თეთრი მთების“ იქით იმალება.

მიდის ერთფეროვანი ცხოვრება სადგურ მანჯურიის ზარის ხმაურში, მატარებლების მიმოსვლაში და ორთქლმავლების მძლავრ კივილში.

უეცარი ამბავი

ერთ დილას ყველასთვის უცნაური ხმაურით და ყრამული დადგა სადგურზე. უთვალავი ჩინელი ჯარისკაცი და პოლიციელი მოგროვდა იქ და მათ ჩოჩქოლში რაღაც მრისხანება და ჯავრი გამოიხატებოდა.

ლინი დუქნიდან განცვიფრებული შესცქეროდა ამ უჩვეულო სანახაობას და უკვირდა, რომ დღეს სამგზავრო მატარებლები არ დაძრულა სადგურიდან. მას არ გაუგონია ბაქანის ზარის რეკა, რომელსაც ისე შეეჩვია მისი ყურთასმენა.

დღეს თითქოს რაღაც აკლდა მას. ვერ ხედავდა მოგუგუნე მიმავალ მატარებელს, ხელსახოცების ქნევას და აჩქარებული მგზავრების ქაქანს.

ნაცვლად ამისა სულ სხვა სურათია:

ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდენ ბაქანისა და რკინის გზის დაწესებულების ირგვლივ. ხალხს მიმართავდენ წყრომით და იარაღის მიღერებით. ეტყობოდა, რაღაც საგულისხმიერო ამბის მოლოდინში იყვნენ.

ხან-ლიუ, მისი გაბერილი, მსუქანი ბატონი, შეშინებული დაფათურდა თავის დუქანში. დახლიდან ქაღალდის ფული ტყავის საფულეში ჩაალაგა, მერე ლინს გადასძახა:

— ლინ, აბა ჩქარა!..

თანაც ხელებით ანიშნებდა, შეშინებულს ვერ გამოეთქვა ის, რაც უნდოდა.

— რას მეუბნებით, ბატონო ხან-ლიუ?—ეკითხებოდა განცვიფრებული ლინი.

— რა და ვერ ხედავ?..—მიუთითა ჯარისკაცებზე, მერე ისევ განაგრძო,—ესენი კარგ საქმეზე კი არ მოსულან. აბა, დავკეტოთ.

შეეშინდა ხან-ლიუს.

ორივენი მივარდენ დარაბებს, ხელად ააფარეს მინის ფანჯრებს და კარებს, გადააკრეს რკინის სალტე, მძიმე ბოქლომი დაადეს დუქანს.

— წავიდეთ შინ,—წყრომით გადასძახა ხან-ლიუმ ლინს. როდესაც დაკეტილ დუქანს შეხედა, თავისუფლად ამოისუნთქა და ძვირფასი საქონლით სავსე რამდენიმე კალათა ხელში ამოიჩარა.

— კარგი, წავიდეთ,—უპასუხა ლინმა და გაჰყვა თავის ბატონს. გულში კი სულ იმას ფიქრობდა, როგორმე გაჰპარვოდა, მისულიყო ფედიასთან და გაეგო, თუ რა მოხდა, რა ამბავია, რატომ აღარ მიდის მატარებელი, ან ჯარისკაცები თოფებით ხელში რისთვის დადიან.

გზიდან ვერ გაეპარა, სახლამდე მისვლა დასჭირდა. მისი ბატონის დერეფნის გვერდით მიმონგრეულ სამზარეულოს ერთ კუთხეში ჭილობი ეგო ლინს.

ერთ დროს აქ მართლაც სამზარეულო იყო, ახლა კაციც არ შედიოდა შიგ. ერთი კედლის შუაგული შემონგრეულიყო, ქარი თავისუფლად შედიოდა შიგ, და ეს გადასცა ლინს მისმა პატიოსანმა ბატონმა ბინად.

შევიდენ თუ არა ბატონი და მოჯამაგირე, ხან-ლიუ იმ წამსვე ცოლშვილს მოუჯდა, ნანახის შესახებ უამბო, ლინი კი მაშინვე უკან გაქანდა, სადგურისაკენ გაიქცა ფედიას სანახავად, ამბის შინაარსის გასაგებად.

ირბინა, როგორც პატარა ფეხმარდმა და მუხლსუსტმა ნუკრმა. ზაფრანისფერ სახეზე ოფლის თეთრი წვეთები უგორდებოდა, ხვანჯარშესუსტებულ შარვალს ხშირ-ხშირად ჰკიდებდა ხელს, იწევდა მაღლა, რომ არ ჩავარდნოდა, და მაინც მირბოდა, მიისწრაფოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები გლეხებს ეხმარებიან

აი, აირბინა ბაქანზე. მიმოიხედა. ახლა უფრო მეტი ჯარისკაცი და ჩინელი ოფიცრები იყო.

— შეჩერდი, ბიჭო!..—მიაძახა ერთმა.

ლინმა ვითომ ვერ გაიგო, განაგრძობდა ასვლას.

— წადი უკან,—გადასძახა მანვე და კისერში ხელი ჩასჭიდა, შეატრიალა, კუკუ ამოჭრა, წააგდო წინ. მისი თვალებიდან ცრემლები აპირებდა გადმოსკდომას, მაგრამ ბრაზმა და სიძულვილმა გაიმარჯვა, ჯიუტად გაჩერდა, პატარა მუშტი მოუღერა, დაემუქრა, გულში კი გაიტარა:

— ვნახოთ, თუ მაინც არ გაგეპაროთ!

მაშინვე თავისი ბატონის დუქანს ზურგიდან შემოუარა, ამოეფარა ერთ კედელს და იქიდან უთვალთვალებდა, მერე კი იხილთა დრო, როგორც ყურდღელმა, ისე სწრაფად გადაირბინა მოპირდაპირე ფილაქანზე, შემოღობილ რიკულზე გადახტა და ეზოში შევიდა. ახლა კი უკან ვეღარ დააბრუნებენ. მან გადასწყვიტა არ გავიდეს გარეთ, რაც გიჭდა უძახონ, ვიდრე ხელით არ გაათრევენ. ჯარისკაცებმა სულის ამოთქმაც ვერ მოასწრეს, ისე სწრაფად გადაირბინა საჭირო მანძილი.

აირბინა კიბეებზე. მის ირგვლივ სიჩუმე იყო.

ისმოდა მხოლოდ მისი ფეხის ხმა, კიბეების საფეხურებს რომ ეცემოდა.

აივანზე აირბინა. არავინ იყო. ჩამიჩუმიც არ ისმოდა. მიირბინა ოთახის კართან, დააკაკუნა. არავინ არ გაუღო. გაუკვირდა. არავინ არ იყო სახლში.

ფიქრობდა:

— რა მოხდა?!. სად წავიდა!?.

პასუხს ვერავინ ვერ აძლევდა.

ფანჯრიდან შეიხედა და პატარა მაგიდაზე დაინახა ფედიას წიგნები, გადაშლილი და უპატრონოდ მიგდებულ-მიტოვებული. წიგნების აბგა ძირს ეგდო. გული აუტოკდა ლინს. რამდენჯერ სჭერია ეს წიგნები მას ხელში, რამდენჯერ გადაუთვალიერებია მასში ლამაზი სურათები. ახლა კი მიტოვებული ეგდო მაგიდაზე. ოთახი არეული იყო.

ამ წიგნებმა გასცეს პასუხი ლინს. ჩანს, ფედია ძალით მოაცილეს მას.

დაღონებული, დაღვრემილი ნელი-ნელ დაეშვა კიბეზე; მიდიოდა ლინი და თან მიჰყვებოდა მწუხარება მოულოდნელად დაკარგულ მეგობარზე.

თეთრგვარდიელებში.

ღამე ლინმა უძილო შფოთვაში და უჩვეულო ფიქრებში გაატარა. მისი გონება თავს ევლებოდა პატარა ამხანაგს, რომელთანაც საერთო გული გამონახა.

დილაზე, როდესაც სურნელოვანი ჩაით სავსე ჩინური ჩაიდანი შეიტანა ოთახში, ბატონ ხან-ლიუს ლაპარაკს მოჰკრა ყური.

ის ეუბნებოდა თავის ცოლს:

— რკინისგზა უნდა წავართვათ კომუნისტებს.

— ოხ, ოხ, ოხ, ოხ, ოხ!..—უპასუხებდა ფარდაგიან ტახტზე მოკალათებული ცოლი. მას ეცვა გრძელი ყვავილებნაქარგი კაბა, წვრილი ოქროს სამაჯურებით, და დაწნული თმა გუმბათივით ედგა თავზე.

— ჩვენმა ჯარმა ყველა კომუნისტი დაატუსაღა. სულ ჩინელები იმუშავებენ, რვა საათის მაგივრად 12 საათს, და მთავრობა ფულს მოიგებს.

— ოხ, ოხ, ოხ, ოხ, ოხ!..—განაგრძობდა ერთსადაიმავეს ცოლი და თითისტარებივით მოგრძო პატარა თითებს მუხლებზე ირტყავდა.

მიხვდა ლინი ყველაფერს... გაუგონია ფედიასაგან რვა საათის სამუშაო დღისა და ჩინელი გენერლების ზრახვების ამბავი.

ჩაის დალევის შემდეგ გავიდა გარეთ. მისი ბატონი შიშისგან დუქანს აღარ აღებდა, იჯდა შინ და დილა-საღამოს ტკბილ ჩაის შეექცეოდა.

ლინი კი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ეძებდა ამხანაგს. რამდენი საზარელი სურათი ნახა გზაში, ვერც კი დასთვლიდა.

ერთი ასეთი:

ვიღაც უცხოელს, რუსული ხალათი რომ ეცვა და უბრალო ჟოკე ეხურა, მოათრევდა რამდენიმე ჩინელი და თეთრგვარდიელი ოფიცერი. ისინი გზაში ურტყავდენ თოფის კონდახებს და დასისხლიანებული სახიდან სიმწარეს ანთხევინებდენ.

მეორე: ოფიცრები იყვნენ, მხოლოდ ჩინელებს არა ჰგავდენ, რამდენიმე კაცი და ქალი თოკით შეეკრათ, ერთიმეორეზე ჩინურ ურემზე დაეწყოთ და მიჰყავდათ. ვინ იცის, სად!

უცქეროდა ლინი ამ სურათებს და უკვირდა, რატომ მეგობრობენ ამ ავაზაკობაში ჩინელი ოფიცრები რუს ოფიცრებს?..

ამ ფიქრებში მირბოდა წინ.

უცბად შორიდან თვალი მოჰკრა ადამიანთა მთელ წყებას, რომელნიც შუა ქუჩაში მოაბიჯებდენ. ირგვლივ თეთრგვარდიელი ოფიცრები და ჩინელი ჯარისკაცები შემორტყმოდენ და მიჰყავდათ. ამ ხალხში გაისმოდა წყრომისა და მწუხარების ხმები. მათში ტანსაცმელშემოფხრეწილი ცრემლებნარევი ბავშვებიც ერიენ და ოხვრითა და კვნესით მოაბიჯებდენ თავის დედ-მამასთან ერთად. ზოგ მათგანს ცალი ფეხსაცმელი ეცვა, ზოგს მხოლოდ პერანგი და მისი ამხანაგი, ზოგი უქუდო და უქამრო იყო.

შეჩერდა ლინი, თვალიერება დაუწყო.

უცბად სასოწარკვეთილმა, სიხარულით და სიმწუხარით სავსემ, წამოიძახა:

— ფედიაااა!..

იცნო ფედიამ ლინის ხმა, მიიხედა მისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა. ხელი დაუქნია, სიტყვის ამოღება ვერ მოახერხა. არც იცოდა, რა ეთქვა.

მიდიოდა წინ ბორძიკით და თან გვერდზე იცქირებოდა ამხანაგისაკენ.

არ ჩამოშორდა ლინი მას. ფეხდაფეხ გაჰყვა. სადაც ტყვეები მიჰყავდათ, ისიც იქითკენ გაემართა. გზაში ერთმანეთს სიყვარულისა და თანაგრძნობის თვალით უცქერდენ.

პიონერები ეხმარებიან გლეხებს პურის შეგროვებაში

მიდიოდენ ტყვეები. მიდიოდა მათში ფედიაც. მიჰყვებოდა შორიახლო ლინიც.

გულში ფიქრობდა: „ამხანაგს მაინც გადავარჩენ, რაც გინდა მოხდეს!..“

ქალაქგარეთ.

ტყვეები ქალაქგარეთ წაიყვანეს. პატარა ველზე ტყის მახლობლად ბარაკი იყო გაშენებული, ერთი დიდი ღობეშემოვლებული ეზო უთავსაფროდ. შიგ კიდევ მიწაზე ეყარა ფიცრები და საწოლად ის იყო მოწყობილი. თოფებს ულერებდენ თეთრგვარდიელები საბჭოთა მოქალაქეებს, რომელთაც ამ ბარაკისაკენ მიერეკებოდენ. შეყარეს ყველანი შიგ და გუშაგი დაუყენეს კართან. მთელი ღამის განმავლობაში დაჭერილების ახალ-ახალი წყება მოდიოდა და ბარაკის კარი ღამეში მრავალჯერ იღებოდა.

ლინი გამოჰყვა ტყვეებს. ის ისე პატარაა, ისე დაგოგავს, როგორც თხუნელა, ყურადღებას არც კი აქცევენ მას. შორიახლო ჩამოჯდა, ბუჩქს აეფარა და იქიდან დაუწყო თვალიერება. მას ნათლად და გარკვევით ესმოდა მწუხარება და ვაივაგლახის ხმები, და სწყდებოდა პატარა ლინს პატარა გული.

შუაღამე გადასულიყო.

ნელი სიო დაქროდა ზაფხულის გრილ ამინდში. სიო ლინს ულიტინებდა გახსნილ მკერდზე და მოსვენებას არ აძლევდა. ფიქრებში მიიძინა და გაატარა პირველი ღამე.

განთიადისას კურდღელივით გააჭყიტა თვალები, მიიხედ-მოიხედა და იგრძნო, რომ კარგა დილამდე სძინებოდა. გაიხედა ბარაკისაკენ და დაინახა, ღობეებიდან როგორ იცქირებოდა დატუსაღებული ხალხი. ღობის ირგვლივ კი განუწყვეტლივ მიმოდიოდენ ჩინელი და თეთრგვარდიელი ოფიცრები.

მთელი დღე უთვალთვალა და, როგორც იქნა, დაენახვა ფედიას. ისიც თავის მხრიდან ღობის სარს ჩამოეკიდა და მთელი სახე გადმოჰყო გარეთ. ღობე ორი ფედიას სიმაღლისა იყო.

იმდენი უარა, იმდენი იეშმაკა, რომ მიცუცქდა ღობის ძირში ლინი და ჩუმად გამოელაპარაკა:

— ფედია, ხომ შეგიძლია [ამ ღობიდან გადმოხტომა?..

— ძალიან ადვილად.

— როცა დაღამდეს, მდინარის მხარეს ღობეზე აცურდი და ძირს ჩამოხტი, თან გუშაგს თვალი ადევნე, არ შეგამჩნიოს.

— კარგი, თუ შევძელი...

— მე კი ხიდთან დაგიხვდები და ჩვენთან წავიდეთ.

თავის ქნევით დაეთანხმა ფედია და უკვე ჩახტომას აპირებდა, რომ ლინმა სწრაფად დააყოლა:

— დედა და მამა სადღა არიან?..

— არ ვიცი!—თვალებგაშტერებულმა მწუხარებით უპასუხა.

უგრძვნია ლინს დედ-მამის დაკარგვა, იცის, თუ რა ძნელია მათი უყოლობა. და, რომ მწუხარება არ მოემატებინა ფედიასათვის, ლაპარაკი აღარ განაგრძო.

ლინმა საღამოზე დანიშნული ადგილისაკენ მიირბინა, და უზარმაზარ ტივის ბოძს ამოეფარა, იქიდან დაუწყო თვალიერება.

გადიოდა წუთები, საათები. კარგად დაბინდდა კიდეც, მაგრამ ფედია მაინც არ ჩანდა.

ლოდინით გული გაუწყალდა, თვალები დაეღალა, საფეთქლები აუძაგძაგდა. დასევდიანდა და სწორედ ამ დროს შენიშნა, პატარა ლანდი რომ ამოცოცდა. აი, გადმოხტა კიდეც ეს ლანდი. ჯერ მიწაზე ჩაცუცქდა, შემდეგ ოდნავ წელი გამართა და ქვევით მდინარისაკენ დაეშვა.

ლანდი შეხვდა ლანდს. ერთმანეთს გამოეხმაურენ:

— ლინ!..

— ჰაა!..

— შენა ხარ, ფედია?..

— ჰოო, მე ვარ,—გაისმა ჩუმი სიტყვები, ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ორი პატარა მეგობარი თავის შესაფარებლად გაიქცა.

(დასასრული იქნება)

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

პიონერები ისვენებენ

სოციალისტური შეჯიბრი და პიონერთა ორგანიზაციის ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრის ფართედ გაშლა ჩვენს ქვეყანაში მძიმე მრეწველობის განვითარების თავდებია. ამიტომაც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

სოციალისტური შეჯიბრის მთავარ მიზანს შეადგენს უმიზეზოდ სამუშაო საათების გაცდენასთან ბრძოლა, შრომის თვითღირებულების შემცირება, დამზადებული საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, უვარგისი მასალის სათანადოდ გამოყენება, საწარმოო თათბირების და კრებების დროთა მოწესრიგება, ლოთობის მოსპობა მუშებს შორის და საერთოდ მუშების და მუშა ახალგაზრდების ყოფა-ცხოვრებითი მხარეების გაუმჯობესება.

როგორც პიონერთა უმრავლესობამ იცის, კომკავშირის ორგანიზაციამ სოციალისტური შეჯიბრის საქმეში ერთ-ერთი ხელმძღვანელი ორგანოს ადგილი დაიჭირა.

მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში კომკავშირის ბიუროკოლექტივის და უჯრედების ხელმძღვანელობით დაარსებულია დამკვრელი ბრიგადები, საინიციატივო და მრავალი სხვა სახის ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოებაში სოციალისტური შეჯიბრის ფართო გაშლას.

დასახული მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პიონერთა ორგანიზაციების აქტიური დახმარება.

ჩვენ ამ წერილში იმისათვის, თუ როგორ უნდა მიიღონ პიონერთა კოლექტივებმა მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრში, მაგალითად მოვიყვანთ ტფილისის საწარმოო უჯრედებთან არსებულ პიონერთა საქმიანობას, რის საფუძველზეც უნდა გაშალონ ადგილობრივმა ორგანოებმა მუშაობა ამ მიმართულებით.

ზემოთ ვახსენეთ დამკვრელი ბრიგადები და საინიციატივო ჯგუფები. რაში გამოიხატება მათი საქმიანობა?

ჩვენ ვიცით, რომ დიდ საწარმოებში საამქროები არსდება. ასეთია, მაგალითად, ტფილისში მთავარსახელოსნო, სადაც 3000 მუშაა წარმოებაში ჩაბმული, არსენალი (საამქრო-საბარგულო ქარხანა), საპონ-ზეთის ქარხანა და მრავალი სხვა. გარდა იმისა, რომ ქარხნები ურთიერთს იწვევენ სოციალისტურ შეჯიბრში, თვით საამქროებს შორისაც სწარმოებს ასეთი შეჯიბრი, მაგრამ მას განსაკუთრებული მეთვალყურეობა ესაჭიროება და სწორედ დამკვრელი ბრიგადების მოვალეობაც ეს არის. პიონერთა კოლექტივის წევრები, რომლებიც მოზრდილნი არიან (12 14 წლის), ეწერებიან ამ დამკვრელ ბრიგადებში და კომკავშირელებთან ერთად იღებენ მონაწილეობას. იყო შემთხვევა, როდესაც არსენალის დამკვრელი ბრიგადა გაემგზავრა სოფელ ვაზიანში, რომ გლეხებისათვის უფასოდ შეეკეთებიათ სამეურნეო იარაღები; პიონერთა კოლექტივის წარმომადგენლებიც თან გაჰყვენ, რამაც გლეხობაში განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია.

სულ სხვა დანიშნულება აქვთ საინიციატივო ჯგუფებს.

საინიციატივო ჯგუფების ხელმძღვანელობით საამქროები და ცალკე მუშები ერთმანეთს ეჯიბრებიან. მაგალითად, ტფილისის წარმოებებში ასეთი შემთხვევა იყო: მთავარ სახელოსნოს მუშებში ერია ორი ზარმაცი ახალგაზრდა, რომელნიც ყველაზე მეტად აცდენდენ სამუშაო საათებს, ლოთობდენ, შინ ცუდად იქცეოდენ და სხვა. ამ სახელოსნოსთან არსებული საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობით ეს ორი მუშა ერთმანეთს შეეჯიბრა, თუ ვინ უფრო ადრე დაგმობდა ამ უარყოფით მხარეებს და წარმოებაშიც სამაგალითო გახდებოდა. გავიდა რამდენიმე ხანი, და ეს მუშები მართლაც გამოსწორდენ და ამასთანავე გაადიდეს საქონლის დამზადება ერთსა და იმავე დროში.

ეს მაგალითი ცოცხალი სინამდვილეა. როდესაც ვლაპარაკობთ კომკავშირის მიერ დაარსებულ და ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფების საქმიანობაზე, ვგულისხმობთ პიონერთა ორგანიზაციების მონაწილეობას.

პროვინციებში წარმოების სისუსტესთან ერთად სუსტია საწარმოო უჯრედების საქმიანობა, ხოლო პიონერთა კოლექტივებმა სასურველ მდგომარეობაში ხელმძღვანელობაც უნდა იკისრონ.

გარდა იმისა, რომ პიონერთა კოლექტივები უნდა დაეხმარონ კომკავშირის ორგანიზაციას და არ გამოვიდენ მაყურებლის როლში, თვით თავის მუშაობაში უნდა მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრი.

თითოეული პიონერისათვის ნათელია, რომ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლამ სავსებით შესცვალა არსებული მდგომარეობა.

პიონერთა კოლექტივებთან არსებულმა სახელოსნო წრეებმა ერთმანეთი უნდა გამოიწვიონ შეჯიბრში.

შეჯიბრის დროს დადებულ უნდა იქნეს დაახლოებით ასეთი სახის ხელშეკრულება:

„რომელიმე კოლექტივის მაგიდების გამკეთებელი ჯგუფი მიზნად ისახავს სოციალისტური შეჯიბრის ჩატარებას, რომლის დროსაც ითვალისწინებს: მაგიდების უკეთ დამზადებას, დასამზადებელი ნივთების რიცხვის გადიდებას, კოლექტივის უზრუნველყოფას საჭირო ნივთებით და სხვა და ამავე მიზნით იწვევს მეორე კოლექტივთან არსებულ მაგიდების დამამზადებელ ჯგუფს. ხელშეკრულების განხორციელების ვადა განსაზღვრულია 3 თვით“.

უფრო სასურველი და მიზანშეწონილიც იქნება, თუ ერთი მაზრის რომელიმე პიონერთა კოლექტივი შეჯიბრში გამოიწვევს სხვა მაზრის პიონერთა კოლექტივს. მაგალითად, სენაკის—ზუგდიდისას, ოზურგეთის—ქუთაისისას, შორაპნის—ჭიათურისას და სხვ.

შეჯიბრის ჩატარება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პიონერთა ორგანიზაციებში არსებულ ნაკლთა გამოსწორებას და მუშაობის სათანადოდ წარმართვას, მაგალითად: ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლა, სკოლაში დანარჩენი ბავშვებისათვის მაგალითის ჩვენება, ოქტომბრელთა შორის მუშაობის უკეთ დაყენება, კოლექტივში არსებული წრეების და ჯგუფების მუშაობის გაძლიერება. პიონერული პრესის („პიონერი“, „ოქტომბრელი“ და სხვა ცალკე გამოცემული წიგნების) გავრცელება და მრავალი სხვა.

ტფილისში მდგომარეობა ამ მხრივ საგრძნობლად მოისუსტებს, ჩვენ მოვითხოვთ, რომ კოლექტივის ხელმძღვანელების და მოვლინებული ინსტრუქტორების საუბრებში ფართე ადგილი დაეთმოს ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის და სოციალისტური შეჯიბრის საკითხის დაწვრილებით შესწავლას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კომკავშირის ორგანიზაციების ხელმძღვანელობით პიონერთა კოლექტივები ფართედ ჩაებმიან მუშაობაში.

ჩვენი მესამე თაობა უკან არ ჩამორჩება გიგანტურ მშენებლობას მუშებისა და გლეხების პირველ ქვეყანაში—საბჭოთა კავშირში.

ა. ადამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდი ნოემბერი ტფილისში

გათენდა დილა. ქუჩებზე ყიჟინაა მოდებული. გაისმის პიონერთა ბარაბნისა და საყვირის ძახილი. მიდიან თავის კოლექტივებში, რომ იქიდან მწყობრად გამოვიდენ დემონსტრაციაზე.

მუშათა უბნებიც ახმაურებულია: ზეიმობენ შვიდ ნოემბერს, ჩვენი გამარჯვების თორმეტი წლის თავს, ამაყად აფრიალებენ წითელ დროშას.

ყველაფერი მხიარულობს, ყველაფერი იღიმება. დრო მიდის, და ყიჟინა თანდათან ძლიერდება და იზრდება.

მთელი ქალაქი მორთული ხვდება წითელ ოქტომბერს. უკვე 10 საათია, და დემონსტრანტები არსად არ ჩანან. ისინი ჯერ კიდევ მზადებაში არიან.

დაჰკრა ქალაქის საათმა თერთმეტი. კიდევ ცოტა ხანი, და დემონსტრაცია დაიწყება. დაჰკრა თორმეტი, და აგუგუნდა მუსიკა სხვადასხვა ადგილას.

სასახლის წინ აღმართულია ორ საბარგო ავტომობილზე ტრიბუნა, რომელზეც არიან ა.-კ. და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლები.

მთელი რუსთველის პროსპექტი სავსეა ხალხით. გავლა ჭირს. ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილია.

დროგამოშვებით გაიქროლებს წითელი დროშებით და პლაკატებით მორთული ავტომობილები.

მუსიკის გუგუნი უახლოვდება ტრიბუნას. მოდის მუშათა რაზმეული თავისი პლაკატებით, წინ მოუძღვის წითელი დროშა, რომელსაც ამშვენებს ლენინის სახე.

თეთრ ქაღალდზე წითელი საღებავით ამოყვანილი პლაკატი ასე მეტყველებს: **„ამ წითელ დროშას, რომელიც ჩვენ, მუშებს, წინ მიგვიძღვის, არავის დავუთმობთ“**

— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის თორმეტი წლის თავს! — ისმის მებრძოლი განწყობილების სიტყვა ტრიბუნიდან.

— ვაშაა!.—მიგორავს ხმა მუშებში ტალღასავით, გუგუნებს სასულე ორკესტრი, და მუშებიც მწყობრად სცილდებიან მუსიკის ხმაზე ტრიბუნას.

აჰა, მოკურავს რამდენიმე პლაკატი, რომელიც, როგორც ცოცხალი, ისე მეტყველებს:

— ძირს საბჭოთა კავშირის მტრები!

— თორმეტი წლის თავზე ჩვენ უფრო შევმჭიდროვდებით!

— ძირს თეთრგვარდიელთა და ჩინეთის ხუნხუზთა შავი ზრახვები!

— ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე საბჭოთა წითელი საზღვარი!

— ძირს ომის პროვოკატორები!

და ვინ მოსთვლის კიდევ რა!

კარიკატურებზე მოჩანან ყოფილი ადამიანები, რომლებიც ცხოვრების მიერ მართლაც გამასხარავებული არიან.

მოგუგუნებს ავტომობილები, რომლებიც კარნავალში მონაწილეობას იღებდენ.

ერთ ავტომობილზე მოჩანს ჩანკაიში თავისი მგლური კბილებით, რომელიც უღრენს საბჭოთა კავშირს.

მეორე ავტომობილზე გამოხატულია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი. ჩვენს საზღვარზე დგას წითელარმიელი. ჩვენში შიგნით გაჩაღებულია შრომა, შენდება ქარხნები, ახალი ელსადგურები, იქ კი ყოველივე არეულია.

ბევრია მოსწრებული კარიკატურები. აგერ უცქერ, და ახალგაზრდები მოაცურებენ გრძელ ჯოხზე ჩამოცმულ ჩემბერლენს, რომელიც მალ-მალ ხუჭავს მონოკლიან თვალს, მონოკლზე კი წითელი ასოებით კიაფობს რიცხვი „12“, რომელიც ჩემბერლენებს და სხვებს მოსვენებას არც დღე აძლევს და არც ღამე.

დემონსტრაცია გრძელდება. რაზმეული არ ილევა. რაც დრო გადის, ხალხი მატულობს.

ისმის ტრიბუნიდან მოწოდებები, და მოვარდნილი ხმა „ვაშას“ ძახილით იფარება.

წუთით წყდება მუსიკის გუგუნი, და მოისმის პიონერების საყვირის ხმა და ბარაბნის ბრახუნი.

მოაბიჯებს მესამე თაობა და წითელი დროშების ზღვას მოაცურებს.

„ლენინი ცოცხლობს ჩვენში“—ლაპარაკობს მათი ერთი პლაკატი.

მოუახლოვდენ ტრიბუნას, და ამხ. **კახიანი** გასძახის: „ოქტომბრის რევოლუციისათვის იყავით მზად!“

— მზად ვართ! — იძახის რამდენიმე ათასი ბავში.

მეტის დაძახება ვერ მოასწრეს, სამაგიეროდ მეტყველებს მათი უკანა პლაკატი, რომელიც თითქოს პასუხს აძლევს ამხ. კახიანის მოწოდებას.

— თუ დადგება დრო, ძახილს „მზად ვართ“ გადავაქცევთ ბრძოლის ძახილად და ჩვენს მამებთან ერთად დავდგებით ბრძოლის ველზე, რომ დავიცვათ საბჭოთა კავშირი“.

დემონსტრაციის პლაკატზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სოციალისტური შეჯიბრის მიმდინარეობის პროცესს, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების აუცილებლობას და სხვა.

— ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრი!

— განვახორციელოთ მთლიანად ხუთწლიანი გეგმა!

— გავატაროთ პარტიის ყოველი დადგენილება ცხოვრებაში!

ლაპარაკობს ცოცხლად შედგენილი პლაკატები.

ისევ მოქრის ავტომობილები. ერთ ავტომობილზე მოჩანს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ძმური კავშირი.

ისინი გამოწყობილი არიან ნაციონალურ ტანისამოსებში და ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთმანეთს ულოცავენ ოქტომბრის რევოლუციის თორმეტი წლის თავს.

ჩაიარა რამდენიმე რაზმმა. წითელარმიელები მუშებთან ერთად მიდიან.

რაზმეული ისევ რაზმეულს მოსდევს, დემონსტრანტები თავისუფლების მოედანზე იშლებიან და ზეიმში მიღებულ შთაბეჭდილებას ერთმანეთს უზიარებენ.

დემონსტრაციამ ოთხ საათამდე გასტანა.

ოთხი საათიდან ახმაურდა ტრამვაი.

განათდა ქალაქი სხვადასხვა ფერად.

ხმაურობს ქუჩებში რადიო, რომელიც ახალ ამბებს ამცნობს ხალხს.

მთელი ქალაქი ხმაურობს. სასახლის თავზე ფრიალებს წითელი დროშა ელმაშუქების სხვადასხვა ფერში.

მოჩანს მარქსის, ლენინის, ენგელსის და სხვათა სურათები.

ქალაქის აღმასკომის წინ შენობაზე მოჩანს ლენინის დიდი პორტრეტი, რომელიც თითქოს ახალი ბრძოლებისაკენ მოგვიწოდებს.

გვიძახის ლენინი ახალი ბრძოლისაკენ და ჩვენც მზადა ვართ!

ტფილისის პროლეტარიატმა და მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ ოქტომბრის რევოლუციის თორმეტი წლის თავზე ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ისინი მზად არიან დაიცვან საბჭოთა ქვეყანა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

— საბჭოთა საზღვარს არვის დავუთმობთ!—ლაპარაკობდა ერთი პლაკატი.

ეს არის სიტყვა მთელი მშრომელი ხალხის.

ქ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასოს გამოწვევა

მიტო, ერთ კარგ ამბავს გეტყვი,
არ მოღუშავ, ვიცი, სახეს:
დღეს ქუჩაში გამოსული
ხალხის რიგი დავინახე.

მათ შესახებ ბევრი რამ სთქვეს,
ნათქვამთაგან მე ერთს მივხვდი:
თურმე ჩვენში უნდა მოსპონ
უვიცობა წერა-კითხვის.

გამეხარდა... გავიფიქრე:
ალბათ არის ჩემი ჯერიც.
და არ მახსოვს, სიხარულით
სახლში როგორ მოვიჭერი.

რახანია ფიქრად მქონდა
ძმისთვის ღვაწლი რომ დამედო,
მაგრამ საქმეს ვერ მივაგენ
ახალსა და საიმედოს.

დღეს ოცნების გზა გამეხსნა,
გამომიჩნდა უკვე საქმეც:
შევაგროვებ პატარებს და
შევასწავლი ცოტა რამეს.

შენ კი ერთს გთხოვ და მიიღე
თქმული, როგორც გამოწვევა:
ჩემთან ერთად გაისარჯე
სხვების ცოდნის ასაწევად.

სოსომ კითხვა ხომ არ იცის?!
მარგოც მგონი მას ედრება...
მათებრ ბევრნი იქნებიან,
და ჩვენც ზრუნვა გვევალება.

დავიწყოთ და ალბათ ვნახავთ
შრომის ნაყოფს დღეთა გასწვრივ,
მხოლოდ ერთი უნდა ვცადოთ:
ვინ აჯობებს, ვინ მეტს გაწვრთნის.

მიტო თქმულზე დაეთანხმა
და ჩაებენ ორნივ საქმეს:
ბავშებს თავი მოუყარეს
და ცალკ-ცალკე „სკოლა“ გახსნეს.

აღარ ჰქონდა მოცალება
ორ პატარა მასწავლებელს...
არც იცოდენ, გამარჯვება
დარჩებოდა მათში რომელს.

და როდესაც იმათ ბოლოს
შრომა ნახეს ერთმანეთის,
მაშინ ვასოს გაწვრთნილები
აღმოაჩნდა ორით მეტი.

გიორგი კაჭახიძე.

ჩვენი ზეიმი

მოვდივართ მწყობრად რიგთა წყებანი,
ჩვენივ ხმაურით ყრუვდება ქუჩა,
ხდება ნორჩ გულთა შემოწმებანი
და აღტაცებას ბოლო არ უჩანს!..

მძლავრი გუგუნით მიწა ირყევა,
თვალებანთებით უკან არ ვიხევთ,
ვერავინ შესძლებს ჩვენს დაბრიყვებას,
მტერთა სიმუხთლეს მკლავზე დავიხვევთ!..

ნორჩი გულები გვეზრდება მტკიცედ,
მომავალ ბრძოლებს ავედევნებით,
რომ მშრომელ მასას უფლება მივცეთ
და ხელში გვეპყრას დროშა მძლე ნებით!

ჩვენ ოქტომბერში დავიბადენით
და ოქტომბერის გრგვინვა გვახარებს,
მებრძოლ გულიდან სევდას გავდენით,
მტერი უხეშიც ვერ იხარხარებს!..

წითელ ფერებში ქუჩები ღელავს
და პიონერთა მარში გაჰკივის,
მტერი გულღვარძლი გვიცქერის ბნელად,
გუგუნი ანთებს ფშოთიან ტფილისს!..

ბორგავს ქალაქი, აშლილზვირთება
ჩვენი ცხოვრება სიხარულია,
სოფლის მიდამოც წითლად ირთვება,
და მებრძოლთ რაზმი იცავს მშრომელებს.

დღეს ოქტომბრელებს გვწამს ოქტომბერი
და მტკიცედ ვიცავთ ჩვენი შეძლებით,
მოკვდეს, დადუმდეს უხეში მტერი,
მშრომელთა დაცვას მსხვერპლად ვეძლევით!

შალვა შაველაშვილი



ბორის ოლქის პიონერთა მონაწილეობა თესვის კამპანიაში.

როგორც კ. კ. ორგანიზაციაში, ისე პიონერკოლექტივების თათბირზე დამუშავდა საზაფხულო თესვის კამპანიაში პიონერთა ორგანიზაციის მონაწილეობის საკითხი. მაგ. მეჯვრისხევის პიონერთა კოლექტივმა 1 ჰექტარი მიწა დაამუშავა, დათესა გარკვეული და მოწამლული თესლი და მოსავლის დროს საკრედიტო ამხანაგობას ჩააბარა პური.

პიონერთა კოლექტივები გამოყენებულ იქნენ ყანების მარგვლაში, თესლის დარკვევა-მოწამვლაში. პიონერთა კოლექტივების მიერ რაიონის მასშტაბში გაიმარგლა 20 ჰექტარი მიწა.

აგრეთვე ყველა პიონერკოლექტივი უშვებდა კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს, ჩაბმული იყვნენ მასიურ-კულტურულ მუშაობაში და სხვ.

ქალაქის 9 პიონერკოლექტივს შეფად აყვანილი ჰყავდა სოფლის პიონერკოლექტივები, რომლებიც ეხმარებოდენ მოსახლეობას თესლის დარკვევა-მოწამვლაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რაიონის მთელი ორგანიზაცია დარაზმული იყო თესვის კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, ამ მუშაობაში ჩაბმული გვყავდა უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობაც, რამაც შედეგად გამოიღო თესვის კამპანიის კარგად ჩატარება და საუკეთესო მოსავლის მოცემა.

ამირანი

ჩვენს პანონიერი ორგანიზაცია ვართ

(კახეთის ოლქი, ჯუგაანის თემი)

ჯუგაანში რამდენიმე წელია არსებობს პ/კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამავე სოფლის კომკავშირის უჯრედი.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციას თავისი არსებობის განმავლობაში არცერთხელ ნივთიერი გაუმჯობესება არ უნახავს, რაც იძულებულს ხდის ხელმძღვანელს გული აიცრუოს ორგანიზაციაზე.

პიონერთა საბჭომ თავის დროზე სთხოვა კომკავშირის უჯრედს შუამდგომლობა აღეძრა და საშეფოდ ავეყვანეთ რომელიმე ორგანიზაციას, მაგრამ საკრედიტო ამხანაგობამ, რომელიც დასახელებული იყო შეფად, უყურადღებოდ დასტოვა კომკავშირის შუამდგომლობა.

ეს კიდევ არაფერი. ორგანიზაციას აქვს ერთი ოთახი დამტვრეული ფანჯრებით და დანგრეული იატაკით, სადაც თავს აფარებს მეცადინეობის დროს ზამთარში, მაგრამ ბოლოს ამ ერთადერთ თავშესაფარსაც ართმევენ, რადგან აღმასკომის თავმჯდომარემ ორგანიზაცია **„არაფრის ვარგისად"** სცნო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თემის ხელმძღვანელს არ ესმის პიონერთა ორგანიზაციის მნიშვნელობა ან არ უნდა შეიგნოს ამიტომაც არის, რომ ორგანიზაციის თხოვნას იგი სიცილით ხვდება.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა დამოკიდებულება ორგანიზაციასთან ძლიერ ცუდია. ბავშვებთან მასწავლებლებს არ დაუხარჯავთ არცერთი სიტყვა პიონერთა ორგანიზაციის მნიშვნელობის შესახებ, რის გამოც სკოლის ბავშვები ნაკლებად ეტანებიან ორგანიზაციას.

ამას დავუმატებთ კიდევ სკოლის ბავშვთა საშინელ მდგომარეობას. 380 ბავშს აქვს მხოლოდ 50 მერხი, ისიც მინგრეულ-დალეწილი. გარდა ამისა, კლასში ისეთი მერხებია, სადაც საჯდომი თვით საწერ მაგიდაზეც უფრო მაღალია, რაც წერის დროს ბავშვებისათვის აუტანელია. სკოლის კედლები ინგრევა, წვიმა ჩამოდის და სხვა, აღმასკომს კი საშუალება აქვს და თავს არ იწუხებს ბავშვების წესიერ აღზრდაზე.

საინტერესოა, რათ იქცევიან თემის ხელმძღვანელნი ასე? განა დრო არ არის მათაც შეიგნონ პიონერთა კოლექტივების საჭიროება?!

პიონერი.

სენაკის რკ/გზ. ადგილკომთან არსებული ნკპ პ. დრამწრის მუშაობა

ჩვენს ნ/პ. კოლექტივში ჩამოყალიბებული გვაქვს დრამწრე. ამ დარგში კარგი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული.

წარმოდგენები რამდენიმეჯერ გვაქვს დადგმული სენაკის რკ/გზ. კლუბში და ცენტრალურ კლუბში, აგრეთვე ვიყავით შემდეგ სოფლებში: ონტოფოში, ნაესაკოვოში, ძველ-სენაკში, ნოქალაქევში, სალხინოში, დიდ-ჭყონში, სახარბედიოში და ქვემო ქვალონში.

ჩვენი საღამოები უმეტეს შემთხვევაში უფასო იყო, რომ ამით დავახლოვებოდით სოფლის მოსახლეობას.

შემოსული თანხით ერთი პიონერი გავუშვით ბანაკად, ზოგიერთ ღარიბ პიონერებს ფორმაც შევუკერეთ და ბურთი ვიყიდეთ.

ეს ჩვენი მუშაობა სულ ცოტა ხნით განისაზღვრება—1929 წლის მაისიდან დღემდე.

ახლა უკვე დავიწყეთ **ვ. კობელის** პიესა „გოჩა"-ს დამზადება, რომელიც ახლოხან დაიდგმება სენაკის კლუბში. შემდეგ ვაპირებთ დავდგათ: აბაშაში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ფოთში და სენაკის ახლომახლო სოფლებში. „გოჩა"-ს დადგმის შემდეგ ჩვენი ნ/პ. კოლექტივი მეტ ავტორიტეტს მოიხვეჭს, ვიდრე აქამდე ჰქონდა და, მგონი, მაგალითიც იქნება სხვა ნ/პ. კოლექტივებისთვის.

ჩვენს აქტივობასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენერგიულად მუშაობს და ხელმძღვანელობს საქმეს სენაკის რკ. გზის კლუბის რეჟისორი გრიშა ბედია.

ვლ. წირღვავა.

ჭადრაკს თამაშობენ



რეცხავს

კედლის გაზეთს ამზადებენ

ჭრილობას უხვევს

ნეგატივს სინჯავენ



ბანაკის მასალას ამზადებენ



მუშაობენ



საპატიო ყარაული

სიმინდს ფურჩქვნის



სროლას სწავლობენ

საქ. სახკინმრეწვთან არსებულ ნ/ბ კოლექტივის ფოტო-წრის მიერ გადაღებული სურათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფედეგო თავდასხმა

— არცერთი კულაკი არ უნდა მოხვდეს საბჭოში.

— შარშან ხომ შემოგვეპარენ!

—სიფრთხილეა საჭირო. საბჭო ჩვენი მმართველ ორგანოა. იქ მხოლოდ ღარიბ-ღატაკები უნდა იყონ.

— ხედავ, ამ ბოლო დროს ივანე როგორ გველაქუცება?

— განა არ იცი, რატომ იქცევა ასე?—საბჭოების არჩევნები მოახლოებულია, სურს საბჭოში გაძვრეს.

— რაო? საბჭო კი არა, შავ სიაში უნდა გამოვაკრათ. მაგრამ ამდენი ბოდიში არ უნდა, ალბათ ჰგონია, როგორც მენშევიკებმა თავისი ბატონობის დროს არ ჩამოართვეს მიწები და ბოიკოტის გამოცხადებით დაკმაყოფილდენ, ისე მოვიქცევით ჩვენც.

— შენც არ მომიკვდე, მაგისთანები ჩვენთან ბევრია. გაიძახიან: „ჩვენ რა კულაკები ვართ, შეადარეთ რუსეთის გლეხებს—აქაური თქვენი კულაკები იქ ბატრაკებად ჩაითვლებიანო“.

— ამით უნდათ თვალი აგვიხვიონ. იცი, რა ხრიკებს აწყობს ივანე?—ჩემი შვილი კომკავშირელია, ჯერ ბავშია, მისულა და უთქვამს:

— მე ყოველთვის თქვენი ოჯახის შემბრალე, ხელის შემწყობი ვიყავი; შენ ჯერ ბავში ხარ, არ იცი ძველი ამბები. მე და მამაშენი ძველი რევოლუციონერები ვიყავით და ახლაც ვართ. მამაშენი რომ ციხეში იჯდა, მე ვარჩენდი შენს პატარა ძმებს, დებს და დედას. ახლა ავადმყოფობის გამო ვერ მოვხვდი პარტიაში, თორემ მეც დიდი კაცი ვიქნებოდი. ჩვენი სოფლელები შეუგნებელი ხალხია, რა იციან ჩემი წასული. კულაკებში ჩამწერეს, შარშან ხმა წამართვეს. განა მეც ღარიბი არა ვარ? 8 ქცევა მიწა, 8 სული საქონელი, 2 ქცევა ვენახი, ისე ტყე და 5 თვალი სახლი—ეს არის კულაკი? შენ ნასწავლი კაცი ხარ, განათლებული, მოელაპარაკე მამაშენს, რომ ხმა მომცენ.

— მერე და შენმა შვილმა რა უთხრა? ის კომკავშირელია, უნდა იცოდეს მათ წინააღმდეგ გალაშქრება.

— განა არ იცი, რას უპასუხებდა? პირველი ორატორი და მებრძოლია კულაკების წინააღმდეგ.

ასეთ ლაპარაკში იყვნენ ბარამბოულის სოფლის გლეხები, როცა ალმასკომის თავმჯდომარე კიმოთე კენჭაძე ავიდა ტრიბუნაზე და ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდა.

გლეხები ახლოს მოგროვდენ.

— საბჭოების მოსამზადებელ საარჩევნო კამპანიის კრებას გახსნილად ვაცხადებ!

და იგრიალა ტაშმა. მაღალი ტანის თავმჯდომარე ოდნავ ჭრელი თვალებით გადასწვდა შეგროვილ გლეხობას, გასწორდა, მარცხენა ხელით კისერი მოიფხანა და დაიწყო:

— ჩვენი ხელისუფლება გაძლიერებულ ბრძოლას აწარმოებს მუქთახორა კულაკებისა და გაკოტრებული თავად-აზნაურული ნაშთების წინააღმდეგ. ეს კრება ერთი იმათთაგანია, რომელმაც უნდა გაარკვიოს, შეისწავლოს, თუ ვინ უნდა იქნეს საბჭოში არჩეული.

ამ სიტყვების გაგონებაზე ზოგიერთი ბანჯგვლიანქუდიანი, წელზე გრძელსატევრიანი კულაკი გლეხი შეწუხდა.

მათი უკმაყოფილება, შურიანი თვალები არ დარჩა შეუმჩნეველი იაკინთეს.

მან უფრო მეტი გესლიანი სიტყვებით მიმართა, ერთხელ კიდევ დაიმსახურა მათ გულში წყრომა და გაბოროტებული შურისძიება, მხეცობამდე მისული.

იაკინთე, იმ სოფლის ალმასკომის თავმჯდომარე, მხნე და ბრგე კაცი, ხელობით ქვისმჭრელი, ყველას კარგად იცნობდა, ბევრს ლაპარაკის დროსვე ესროდა მწარე სიტყვებს.

ახლაც ისე მოიქცა. მალულად შემოპარულ ივანეს მაგრად გადაკრა.

ივანემ იწყინა, ძველ დამბაჩას წაავლო ხელი. ხალხი შეინძრა.

— აბა, ბიჭებო, მოაცილეთ აქედან.

და გლეხებმა ივანე მყისვე გააცილეს სოფლის ბოლომდე.

კრებაზე რაიონიდან და ქალაქიდან მოსულ ამხანაგებს ძალიან თბილად შეხვდენ გლეხები.

— ჩვენი ნინუცა, ხედავ, როგორ ვაუკაცივით გამოდის ტრიბუნაზე?

— იცი, კაცო, ახლა მაგი დიდი ქალია რაიონში.

— ჰო. ჩვენი სოფლიდან ორმოცი ქალი და კაცი მოაწყო ძაფსახვევ ქარხანაში. საწყალი პავლეს ბავში წაიყვანა, სკოლაში მისცა, საღამოობით ქარხანაში ადგილიც უშოვნა. რა მეესწრო პავლეს! ყოველ თვეს ოცი მანეთი მოდის იმ პატარა ბიჭისგან. ყველაფერი ნინუცას წყალობითაა.

— მართალია, ჩვენებს ძალიან წყალობს, — ამბობდა ერთი გლეხი, როცა ნინა ხელების ქნევით ამთავრებდა სიტყვებს.

მისი სახე გაბრწყინებული მკრთალი პატარა თვალებით ანათებდა შეგროვილ გლეხობაში. გამოხედვა სწორი და მხედრული კულაკების გულებს ლოდებივით ეცემოდა.

გზადაბნეული კულაკები თავს ხრიდენ, ლამობდენ ნინას თვალებიდან გამოსროლილი სხივების აცდენას, ცალ ფეხზე დგებოდენ და ცალს მოსაკეცს მუხლთან მოაკაუჭებდენ.

— საჭიროა ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, რომ არ შემოგვეპაროონ საბჭოებში. ოცი დღით ადრე თვალსაჩინო ადგილზე გამოაკარით შავი სიები,— ამბობდა ნინა ტრიბუნიდან.

შემდეგ კაჟიამ ილაპარაკა.

კრება დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხები შინ წავიდენ.

ყველას გულში წახალისება და მონდომება ძირგამდგარ ცაცხვის რტოებივით გაიშალა. შეიჭრა სოფელში ახალი სულის და გრძნობების უთვალავი ძარღვები.

ყავრითა და ისლით გადახურული სახლები მჭვარტლსა და კვამლში ახრჩობდენ ცივს და ყინვიან დღეებს.

* *
*

ნინა და კაჟია გასცილდენ აღმასკომს, წავიდენ სოფლის ბოლოში მიხვეულ-მოხვეული ბილიკით.

აი, წიფლის ყავრით დახურული სახლიც გამოჩნდა.

ათი ნაბიჯი, და ჭიშკართან დაბმული ძაღლი აყეფდა, მავთულზე გამობმული თოკი დაჭიმა, მაგრამ ახლად მოსულებს მაინც ვერ მისწვდა.

ბოყური სახლიდან, რომელსაც შავი კუპრის ფერი კედლები აქვს, ნინას მოხუცებული მამა ბეგლარი გამოჩნდა წელში ძალზე მოხრილი, პირში ჩიბუხით; პატარა ბავშები, აბურძგვნილი თმებით და ნახშირის ფერი წარბებით, ბაბუას გამოჰყვენ.

— გამარჯობა მამაჩემს, გაიცანი ამხანაგი კაჟია კაჟაძე. ქალაქიდან ჩამოსულია.

— ძალიან კეთილი, შვილო! ასე უნდა? სამ თვეში ერთხელ ჩამოხვალ და მაშინაც აღმასკომში მიხვალ, საღამომდე ჩემთან არ შემოივლი? ტყვილა გაგზარდე ამოდენა ქალი?

— მამა, შენ ერთი ოჯახი ხარ, იქ კი მთელი სოფელი მიცდის. რომელი უფრო სწორია?

— კი, მაგრამ...

— ქალო მაკრინე, სტუმარს სკამი მოართვი. არაყიც გამომიტანე. ამათ ეშიებათ. ვახშამი ჩქარა გააშზადე. დაბრძანდი, ბატონო.

— ბეგლარ, მე ბატონი არ ვარ.

— ე—ე, ეს ოხერი, მიჩვეული ვარ. ძველათვე უბატონოდ სიტყვას ვერ შევაბრუნებდი. ჩემი ბრალი არ არის. ორმოცდაათი წელი ჩაგვრაში გავატარე, ყველა ჩემი ბატონი იყო.

— ახლა ხომ სულ სხვა ვართ ჩვენ?

— კი, ბატონო. ოხ, კიდევ ბატონო წამოძცდა, მაპატიეთ.

და ბეგლარმა თეთრი ბოთლიდან არაყი დაუსხა კაჟიას.

— ეგი შენ გაგიმარჯოს, კარგად იყავი.

კაჟიამ ჭიქა გამოსცალა, გამხმარი მჭადი დააყოლა.

— მაგარია?

— ძალიან. იცი, ხათრი ვერ გაგიტეხე, თორემ ეს საწამლავია, გულის მომშხამველია.

— ეეე, რას იზამ, ეგეც რომ არ გვქონდეს, ამ ხრიოკ მთებში წელს ხომ ვერ ავიტან, შვილო.

— შენც გაგიმარჯოს, შვილო,—და ბეგლარმა ასწია ჭიქა, გრძელი წვერები დაკოჟრილ ხელებში მოსრისა, ბოთლი ცეცხლის პირად კერიას სასთუმალზე ჩამოდვა. პატარა ბიჭუნამ გონებამახვილობა გამოიჩინა.

— ბაბუა, ოტკა გავარდება ცეცხლთან.

ბეგლარმა არაყი გვერდზე მოიდო.

ნინამ დაათვალიერა სახლის კუთხეები, უბნა და სხვა.

კაჟია და ბეგლარი კერასთან ბაასობდენ.

იქვე—საქონლის ბაგა, ხარები საპირეში ჩალის ღეროებს სჭამენ.

ბეგლარის სახლი დაბალი, კედლებგარუჯული, ოთთვალიანი იყო. ერთი იყო საწოლი, მეორე—სამზადი, საქონლის ბაგით დაგებული. საპირეს ბოლოში კედელთან დიდი ბრტყელი ხის ფიცარი იყო ორად გადებული.

ზევით—სხვენი, ჩელტებით დაფარული. სახლის კუნჭულები ჩალის კონებით დაჭმანული, სიცივისაგან დათბილული.

ხელმოკლე ბეგლარი ღარიბ ოჯახს ამაგრებდა; ნინა თუ თვეში ხუთ მანეთს გამოუგზავნიდა, ისიც დიდ დახმარებას გაუწევდა.

— კაჟია, დროა წავიდეთ.

— შვილო, გადაირიე? რა დროს წასვლაა, ეხთი შენი სახე დღისით დამანახვე. ამ ღამეში სად წახვალ, გათენდეს. დილა-ადრიანად მე გაგაღვიძებ.

— ჩვენ ამაღამვე უნდა წავიდეთ, დრო არ გვაქვს. ხვალ ორი სოფლის გლეხობა მიგველის.

— სად მიხვალ ამ შუაღამეში?

ეწყინა ბეგლარს. ბეგლარს პატარა ბავშებიც აჰყვენ, ნინას ნაბადს ჩაებღაუჭენ.

— მშვიდობის მგზავრობა.

და გავიდენ.

ჭრაქის სინათლეზე ღამე უფრო ბნელი ჩანდა.

სადღაც შორს ერთი ვარსკვლავი კიაფობდა.

ძაღლების ყეფა გაორებულად გამოისმოდა ხევებიდან.

იმ ღამეს სოფ. ჩიტოურის აღმასკომში დარჩენ.

მეორე დღეს სამ ადგილას ჩაატარეს კრებები, შეკრიბეს მასალები.

მეხუთე დღეს რაიონულ კომიტეტში ისხდენ ორივენი, არჩევდენ მოგროვილ მასალებს.

— ნინა, დღეს მაზრაში მივდივარ, მოამზადე მასალები, წინასწარი მუშაობა თითქმის ჩატარებულია. შენს მოვალეობას შეადგენს ცხრილებში დააჯგუფო ხმაწართმეულები, გამოაკრა სიები თვალსაჩინო ადგილზე. აბა, მივდივარ, ქარხანაში მუშაობას ვერ გავაცდენ.

* *
*

კაჟია კაჟაძე იყო დაბალი, მსხვილი, ბეჭებგანიერი და მკაცრი გამომეტყველების. თითოეული წარბის შეხვრა—სიდიადით სავსე, ბრძოლის უნარით გაჟღენთილი.

ხელები მოკლე, მსხვილი, შუბლი განიერი, ნაოჭებით და მოგონებებით სავსე. სახე—გაწითლებული; ტანის მოუხეშავი მოძრაობა ჯერ კიდევ ათი წლის წინ ქარხნის სარდაფებში გამოიკვეთა.

მაშინ კაჟია ცემენტის ქარხნის ნესტიან სარდაფებში ახრჩობდა უბედურ დღეებს. გაჭირვებულმა ცხოვრებამ, ციხე-სატუსაღოებმა რკინისებური ტანის სიძლიერე ვერ გაუტეხა.

ახლაც კაჟივით მაგარი ხერხემალი აქვს. მოძრავია მისი კუნთები.

კაჟია ახლაც მაგრად გრძნობს თავს.

მუშაობს ერთ-ერთი ქალაქის მაუდის ქარხანაში უფროს მუშად. როგორც ძველი ბოლშევიკი, პარტიულმა კომიტეტმა გამოგზავნა რაიონებსა და თემებში საარჩევნო კამპანიების ჩასატარებლად.

რაიონულმა კომიტეტმა ძაფსახვევი ქარხნის საქსოვი განყოფილების გამგე, მუშა ქალი ნინა, გამოჰყო თემში სამუშაოდ.

ნინამ და კაჟიამ შემოიარეს სოფლები, შეასრულეს პარტიული კომიტეტის დავალება. შემდეგ კაჟია წავიდა მაზრაში.

ნინა შეუდგა შეგროვილი ცნობების დამუშავებას, სიების ცალკ-ცალკე შედგენას.

* *
*

ნინა—ძაფსახვევი ქარხნის ერთ-ერთი განყოფილების გამგე—აქტივისტი. თავის დარგში კვალიფიკაციური მუშაა.

ნინამ აბრეშუმის ძაფის ამოღება მეფის მთავრობის დროს ისწავლა ერთი მდიდარი სომხის ქარხანაში.

პატარა ნინა, მშობლებიდან წელგატეხილი, ახალგაზრდული ცხოვრების დღეებს ადუღებული ქვაბების ფსკერში აქსოვდა. ქარხანაში სიმღერები ჯერ კიდევ მის გაუფურჩქვნელ გრძნობებში სიხარულის ნაპერწკლებს აღვივებდა.

ყოველი ახალი წელი თანამდებობრივი კარიერით იწყებოდა: ძაფის ამომღები. პარკის გადამრჩევი, ჯარაბაზე მომუშავე, ამოღებული ძაფების დამვარცხნელი და სხვა. აი სად შეიძინა მან ცოდნა და გამოცდილება.

ახლა ნინა იმავე ქარხნის პასუხისმგებელი მუშაკია.

ძაფსახვევი ქარხანა ქალაქიდან ერთი კილომეტრით არის დაცილებული.

შენობა გრძელი, ორსართულიანი. რამდენიმე ოთახი გავსებულია მანქანებით.

შენობის უკანა ნაწილი ელექტროსადგურითაა აგუგენებული. ყველაფერი მაზუთში გასვრილი. ნავთის და ბენზინის სუნი. იქვე წყლით სავსე აუზები. აუზებიდან გამოდის პატარა არხები, რომელიც ავსებს დიდმუცლიან ნახშირისფერ ქვაბებს.

ცეცხლფარეშები, ხელებდაკაპიწებულნი, უნთებენ ცეცხლს ქვაბებს.

ადუღებული წყალი იქიდან შენობის შუა ნაწილში მოთავსებულ პარკის სახარშავ გახყოფილებაში გადადის.

პატარა თუჯის ქვაბები ონკანებით იღებენ ადუღებულ წყალს. შიგ ჩაყრილ თეთრ ან ყვითელ პარკებს ალბობენ, ხარშავენ. მისგან მძივებივით იშლება, გაშლილი ბადის მსგავსად, ძაფები. ზევით ეხვევა ჯარაბებზე.

სასიამოვნო სანახავია.

დილით ახმაურებულ ქარხანაში შრომის ოფლი იღვრება.

რკინა, ფოლადი, თუჯი—ყველა იბრძვის, ტრიალობს, იღლება, ისვენებს და კიდევ იწყებს მუშაობას.

ასე მიდის დღეები.

ქარხნის გვერდით ელექტროსადგურთან ამართულია დიდი საკვამლე. ძირი ფართე აქვს, ზევით თანდათან წვრილდება. კონუსის მსგავსად ცამდე არის ატყორცნილი. საკვამლიდან ამოხეთქილი კვამლი სახურავებზე იშლება.

ღრუბლებიც მოუთმენლობით მოელიან ქარხნის საკვამლედან ამოვარდნილ ჯერ შავს და შემდეგ კი თეთრ, ბამბისებურ კვამლს, რომ შეუერთონ ლურჯი და მძიმე ბოლთები, ზღვისებურად რომ ეკვრიან ცის კაბადონს.

ჯერ კიდევ ბინდი არ არის გამქრალი, რომ ქარხნის საყვირი აყვირდება და ახლო სოფლები იწყებენ ამოძრავებას. მოსახლეობას სიცოცხლე და სიხალისე ეტყობა.

მოდიან სხვადასხვა სოფლებიდან, ქუჩებიდან ქალები, კაცები. გაუვალ ტყესავით ეფინებიან მთავარ ქუჩას.

იქიდან პირდაპირ ქარხანაში მიდიან, და ასე ყოველდღე.

* *
*

ნინა ქარხანაში ყველაზე ადრე მოდის. მისი ოთახი, პატარა, დაბალი, უბრალო მოწყობილობით, იქვე ახლოს არის და ამიტომ თითქმის მუშაობის შემდეგაც ქარხანაშია.

ნინა თავისი ამხანაგებით ერთ საღამოს დირექტორის ოთახში სხდომაზე იყო. ვიღაც გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილმა წითურმა კაცმა შემოაღო კარი, იკითხა:

ნინა აქ ვინ არის?

ყველამ გაკვირებით შეხედა ახლად მოსულს.

მის გრძელ წითელ წვერებში რაღაც გამოუცნობი საიდუმლოება კრთოდა.

— რა გნებავთ, მე ვარ.

უცნობმა ჯიბიდან წერილი ამოიღო, ნინას მიაწოდა და მაშინვე მოწყვეტილად შებრუნდა. კარებში არც იყო გასული, რომ ნინამ მიაძახა:

— თქვენ ვინა ხართ?

— მე ისე... იქაური, ბარამბოულიდან.

და მოუჩქარა ნაბიჯს.

— ამ კაცს ვერ ვიცნობ. არ ვიცი, მართლა ჩვენი სოფლიდან არის თუ არა.

ნინამ წერილი გახსნა. წერილი ასე მთავრდებოდა: „აუცილებლივ ამ საღამოს უნდა ამოხვიდე ბარამბოულში. საჩქარო საქმეებია. თან საარჩევნო მასალები, შავი სიები წამოიღე.

კომსალამით ბარამბოულის აღმასკომის

თავმჯდომარე იაკინთე კენჭაძე“.

ნინამ ამხანაგებს გადახედა. ყველა მას შესცქეროდა გაკვირვებით.

— რა ამბავია?

— საჩქარო საქმეებზე უნდა წავიდე. ჩვენი იაკინთე მიბარებს, უნდა გამათავისუფლოთ სხდო-

მიდან.

— შეგიძლიათ, მხოლოდ ხვალ ქარხანაში უნდა იქნეთ. საწარმოო თათბირების მოწვევა მინდა, — უთხრა ქარხნის დირექტორმა.

ნინამ შეიარა ოთახში, წამოიღო სიები და გაემართა სოფლისკენ.

გაირა მინდვრები, ტყეები და ესეც არის უნდა შევიდეს ბარამბოულში, რომ მარცხენა კლდიდან გადმოხტა ორი შეიარაღებული უცნობი.

სიბნელით მოცულ ჩავარდნილ ხევის პირად მიმავალ ბილიკზე მათი სახე გამოუცნობი იყო.

— გაჩერდი, ხელები ზევით!

— ვინა ხართ, თქვენ, ეი, არ შესცდეთ, მე ვაჭარი ან ფულიანი არ გეგონოთ, მე ნინა ვარ!

— ჩვენც ეს გვინდა. ამოიღე უბიდან სიები. შენ ხარ ჩვენი შემბოჭველი, მოგისპობთ სიცოცხლეს!

ნინა შეჩერდა, მოიფიქრა და მარდად უპასუხა:

— ახლავე, მხოლოდ იარაღი გვეოდზე გასწით, არ გაგივარდესთ.

თავდამსხმელები თვალყურს ადევნებდენ ნინას ხელების მოძრაობას. ნინამ ჯიბეში ჩაიყო ხელი. სიები და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი, თეთრ ქაღალდებში გახვეული, ამოიღო.

გაუწოდა. ქაღალდების გადაცემის დროს მოხერხებულად გააპარა მარჯვენა ხელის სალოკი თითი.

მოსწრებულად გამოჰკრა.

რევოლვერის ხმამ ორ კლდეს შუა დაწყნარებული გარემო შეარხია.

ხმა სოფელშიაც შეიჭრა. ერთი-ერთი თავდამსხმელი იქვე დავარდა მიწაზე უსულოდ, მეორეს ხელები გაუჩერდა შიშისაგან, ნინას მოკვლა დააპირა, მაგრამ ველარ მოასწრო გასროლა.

ნინამ მასაც პირში მისცა ტყვია. ტყვია ასცდა-თითქოს მოხვდაო, თავდამსხმელი ძირს დავარდა.

ამ დროს სოფლიდან ხალხი დაიძრა.

ყველა შეგროვდა იმ ადგილს, სადაც ნინა ხელში რევოლვერამოღებული, ბეჭებზე ნაბადმოგდებული, ასანთის ღერით ანათებდა და ათვალიერებდა მიწაზე დავარდნილ თავდამსხმელებს.

— ნინა, ნინა!

— ვაი, შვილო!..

— ჰო, არა უშავს, ცოცხალია, ცოცხალი!..

— ეს რა ამბავია? ოხ, შე ძაღლო, არ მოისვენე?...

— უიმე, ივანე მოუკლავს!. მოუხდება, კუზიანს სამარე გაასწორებს.

— შენ რა გინდოდა, ბიჭო, ნინასთან,აა?

თავი დარცხვენილად აიღო მიწიდან მეორე უცნობმა, რომელსაც პირი შეხვეული ჰქონდა, ნინას კი იგი მკვდარი ეგონა.

აღმასკომის თავმჯდომარე აჩქარებული მოვარდა.

— იაკინთე, რა მიქენი, კაცო? ასე უნდა ამხანაგობა? შენ დამიბარე და აქ ხალხი დამახვედრე მოსაკლავად! ეგ საქმე ახლავე უნდა გამოვირკვიოთ.

იაკინთე გაფითრდა.

— არ გჯერა? აი შენი წერილი — და მისცა ხელში.

— ეს რასა ჰგავს, რა ონებია! ეს ჩემი ხელი არ არის, მე არაფერი მომიწერია.

— არა, არა, ჩვენს თავმჯდომარეს არაფერი მოუწერია, ეს ივანეს ოინებია, მაგრამ ხომ ჩაძაღლდა, — ამბობდა აღმასკომის მდივანი.

ხალხი ირეოდა. მათ ხმაურს ირგვლივ გარემოც უერთდებოდა. თვალუწვდენელი მთების უდაბური ტყეებიდან ხეების რხევა გაშლილი ცხენოსანი ჯარის ხმაურს ჰგავდა.

ტფილისის ზოოლოგიური

თქვენ ალბათ არც კი იცით ზემოხსენებული ბაღის არსებობის შესახებ. სამწუხაროა. იქ მოიაღილი საინტერესო ცხოველი და ფრინველია. ეს ბაღი გაიხსნება ნოემბერში, მანამ კი „პიონერის“ ფურცლებზე გაეცნოთ მის მცხოვრებლებს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ამ ალაგას იყო ხულიგნების და ლოთების ბუდე—ბაღი-რესტორანი „ფანტახია“, ახლა კი ამ „ფანტახიიდან“ გადათხრილი მიწის გარდა არაფერი არ დარჩენილა. ხსენებული ბაღი ძალიან დიდია — 74 ჰექტარი. ის პირველია მთელ საბჭოთა კავშირში სიდიდის მხრივ.

წარსულ წელს დაიწყეს ამ ბაღის შენება. ახმაურდა კირკები და ბარები, აარჩიეს ხეივნების ალაგი, დაგეგმეს ყოველი ადგილი, სადაც უნდა მოთავსდეს სხვადასხვა ჯიშის ნადირები და ცხოველები: დათვები, მაიმუნები, ვეფხვები, მგლები, ირმები. ტფილისის პაკის განსაკუთრებული პირობების გამო ამ ბაღში იცხოვრებენ ბეერგვარი ცხოველები და ფრინველები. ხსენებული ცხოველების ნახვის შესაძლებლობის გარდა, ჩვენ ეს ბაღი მოგვცემს 300000 მეტრის სივრცის მწვანე მოედანს, იმ დროს, როდესაც ყველა იმ ადგილის სივრცე, სადაც მცენარეებია ტფილისში დარგული, 100000 მეტრს არ აღემატება.

ამიგად ზოოლოგიური ბაღი გახდება ქალაქ გარეთ გასეირნების და საზაფხულო დასვენების ერთ-ერთი ადგილი.

გაიჭრიალა რკინის კარმა — ჩვენ შევედით ბაღის პირველ ნაწილში, სამფრენო ეზოში, სადაც სხვადასხვა ცხოველები და ფრინველებია. აი, სერიოზულად ჩაფიქრებული და გაბრაზებული არწივები და სვავები. მათი უშნო და მოგრეხილი ნისკარტები მტაცებლურად მომართულია ჩვენსკენ. აგერ გამოჩნდა ლამაზი და ყვითელი ჯოტი, შემდეგ — გარეული ბატები და შემდეგ — ყოველთვის მოუსვენარი და სპეციალურ აუზში მოყვინთავე წავი. ეს პატარა ნადირი ძვირფასია თავისი ბეწვით. მის გვერდით მეზობლად გალიაში სძინავს ორ ბანჯგვლიან ენოტს. აი ამაყად მოსიარულე ორი მონღოლური ხოხობი, ძველი ნაცნობი — დათვი. ჩვენ ძალიან ხშირად შეგხვედრიეართ მას ტფილისის ქუჩებზე, მაგრამ ახლა ის მთლად გამოცვლილია და ვერც გამოიცნობთ. ის უდარდელია, მხიარულია. აქ იმდენად არა გრძნობს თავის ტყვეობას. მის გვერდით, იმავე რკინის გალიაში ჩამწყვდეული არიან მგლის პატარა ლეკვები. მათ ძაღლის ლეკვებისაგან ვერ გაარჩევთ.

ფართო მოედანზე, რომელსაც მესერი აქვს შემოვლებული, გვხვდება ზოომაღის პირველი მეზობელი—ირემი „მარო“, საქართველოს მონადირეთა კავშირის საზეკარი.

,,მარო'' გახარებული მოგვდევს, უშიშრად გვიახლოვდება და ცივ ცხვირს გვადებს ხელებზე. ბორცეს იქით, სადაც ცხოველებისათვის ქვის ხელოვნური მაღლობია გაკეთებული, ვეცნობით მთის ყოჩებს, სომხეთის მონადირეების მიერ მოძღვნილთ. ესენი ძალიან იშვიათი არიან, იმათ ვერცერთ ზოოლოგიურ ბაღში ვერ ნახავთ. იქვე მათ ახლოს დგას დაღესტნის ჯიხვი, 6 წლის ,,ამირანი“, რომელსაც ლამაზი დიდი რქები აქვს. ის მიღებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის მუხრანის ზოოლოგიური ბაღიდან.

ძალიან ლამაზი ცხოველებია აგრეთვე ჩინური ირმები, მოსკოვის ზოოლოგიური ბაღიდან გადმოგზავნილი. ისინი ძალიან ლამაზები, ჭკვიანები არიან, თუმცა ჯერჯერობით შეუჩვეველი არიან და მოუშინაურებელი; ისინი მხოლოდ ზოოლოგიური ბაღის ორგანიზატორს ამხ. მარკოვს ენდობიან.

ამ ახლო ხანში ზოოლოგიური ბაღი ბაქოდან მოელის რამდენიმე სელაპს, ყანჩას და ჯეირანებს.

ბაღი თანდათან გაიზრდება და შეიესება მთელი საბჭოთა კავშირის და უცხოეთის ცხოველთა, ფრინველთა და ნადირთა ნაირ-ნაირი ჯიშებით.

თუმცა ზემოხსენებული ბაღი არ არის მთლად დასრულებული, მაგრამ მაინც საკმაო მასალას იძლევა ცხოველთა ცხოვრებიდან პიონერ-ნატურალისტების პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

როდესაც ზოოლოგიური ბაღი გაიხსნება, ყოველი პიონერი ვალდებულია დათვალიეროს იგი, რომ გაეცნოს ახალ ცხოველებსა და ფრინველებს.

მომავალ წელს ტფილისის ზოოლოგიური ბაღი ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, კულტურული და სასარგებლო დასასვენებელი ადგილი იქნება, როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილთათვის.

ბაღის მობინადრენი



ჯიხვი ,,ამირანი,,



ჩინური ირმები ბაღის დროს

ირემი ,,მარო,,

ჩინური ირმები



ჯოტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სარევოლუციო მუზეუმი

ტანჯვით და სისხლის უკანასკნელი წვეთებით ქმნიდენ ჩვენი წინაპრები რევოლუციის ისტორიას. ფეოდალური და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხელისუფალთათვის ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა საზოგადოების დაჩაგრული ნაწილის მოწინავე მუშების დევნა, ჩამოლრჩობა, კატორღა, ციხე და მრავალი სხვა მუხანათური საშუალება საკუთარი ფუფუნების შენარჩუნებისათვის. დაუცხრომელი იმედებით იბრძოდენ ჩვენი მამები საუკუნეთა განმავლობაში.

ჩვენ ამ ბრძოლის შემდეგ დავიბადეთ და დაგვრჩენია მხოლოდ წიგნებისა და მებრძოლთა მოგონებების საშუალებებით წარმოვიდგინოთ ზემოთქმული ტანჯვა რევოლუციონერი მოღვაწეებისა.

მდიდარ წარმოდგენას გვაძლევს წარსული ბრძოლის შესახებ სარევოლუციო მუზეუმი. გავეცნოთ გამოფენილ მასალებს.

ბატონყმობის წყვდიადში.

ეს ამბები ხომ თქვენც იცით, ვის არ წაუკითხავს **დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“**, ვის არ გაგიგონიათ ამ საშინელი ეპოქის ჩვეულებრივი მოვლენები: ადამიანის უღელში შებმა პირუტყვთან ერთად, ადამიანის გაყიდვა ქართველი ფეოდალის მიერ ოსმალეთის ბაზარზე, ციხეკოშკების ჯურღმულში საშინელი წამება ოდნავი წინააღმდეგობისათვის... იქნებ ფეოდალის ძაღლის ფასიც იცით: იგი ხშირად რამდენიმე ადამიანად ფასობდა.

აი ამ გამოფენაზე არის სურათი, სადაც ძაღლი ცოცხალ ადამიანზე იცვლება; ტირიან მშობლები, ბებია, ბაბუა, ტირიან პატარა და-ძმები, მაგრამ იცინის ბატონის ცოლ-შვილი.

ეს საშინელი ტანჯვის ეპოქა საუკუნოებით აწვა მთელს კაცობრიობას. იგი მძიმე ბორკილით, აი ამ ბორკილით, რომელიც გამოფენაზეა დაჟანგული და უკვე ძლიერ მოძველებული, ბოჭავდა ადამიანის თავისუფლებას.

პირველი ქართველი მოღვაწე, რომელმაც ხმა აიმაღლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, დანიელ ჭონქაძე იყო, მან სრულად აღწერა ბატონყმობა, რის გამოც არ ასცილებია დევნა და მუქარა. ვინ არ იცით **არსენა ოძელაშვილი**, რომელმაც ბატონყმობასთან ბრძოლაში დალია სული! მრავალი „არსენა ოძელაშვილი“ ხდებოდა გარეწრად და მხოლოდ ტყეში ჰპოულობდა თავისუფლებას. ამ ეპოქას გვიჩვენებს გამოფენის ერთი კუთხე.

წინამარქსისტული ხანა.

ევროპაში წინამარქსისტული ხანა უტოპისტების — მოღვაწეობით აღინიშნება (ფურიე, ოუენი, სენ-სიმონი, ტომას მორი და სხვ.) გარდა ამ მოღვაწეებისა, გამოფენაზე ვნახულობთ სხვა ღირსშესანიშნავ ადამიანთა სურათებს და ევროპის რევოლუციონური მოძრაობის მასალებს — საფრანგეთის რევოლიუციების, პარიზის კომუნის და სხვ.

რუსეთის წინამარქსისტულ ეპოქაში მრავალი მოვლენაა აღნიშნული: პუგაჩევის და სტენკა რაზინის ჯანყი, გლეხთა მოძრაობანი და დეკაბრისტების აჯანყება 1825 წელს, რომელსაც მიზნად ჰქონდა კონსტიტუციური წესწყობილების შემოღება, ე. ი. მოითხოვდენ ხალხის წარმომადგენლების ჩარევას სახელმწიფო საქმეებში.

საქართველოში წინამარქსისტულ ხანად ჩაითვლება მოძრაობა „მესამე დასის“ გამოსვლამდე. ამ პერიოდის მოძრაობიდან აღსანიშნავია აჯანყებები გურია-სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული.

მარქსიზმის ეპოქა.

90-იანი წლებიდან საქართველოში შემოდის მარქსიზმის იდეები. პირველი მერცხლები ამ საქმისა ე. წ. „მესამე დასელები“ იყვნენ — **ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ჯიბლაძე, კალაძე** და სხვანი. „მესამე დასის პირველი კონფერენცია მოწვეულ იქნა დაბა **ზესტაფონში 1892 წლის** დეკემბერში. რასაკვირველია, **ამ კონფერენციას არ შეეძლო არავითარი პროგრამის შემუშავება, მან მხოლოდ უარყო ნ. ჟორდანიას წინადადებები, რომლებიც გაჟღენთილი იყვნენ ნაციონალიზმის სულისკვეთებით“ (მ. ცხაკაიას** მოგონებიდან). ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენში უფრო და უფრო ფეხს იკიდებს მარქსის მოძღვრება, და უკვე 1893 წლიდან ჩვენს მარქსისტებს აქვთ ლეგალური მარქსისტული ორგანო ჟურნალი „კვალი“, სადაც სწერდენ **ფ. მახარაძე, ლუზინი** და სხვანი. „კვალმა“ 1904 წლამდე იარსება. გარდა „კვალისა“ და სხვა ნაბეჭდი ორგანოებისა, გამოფენაზე ვნახულობთ იმდროინდელ ხელნაწერ ჟურნალებს, რომლებიც ვრცელდებოდა ტფილისის მუშებში. ეს ჟურნალები არალეგალურად ვრცელდებოდა და გაჟღენთილი იყო მებრძოლი სულით. ასეთი ჟურნალებია: **„სხივი“** (1892 წ.), **„განთიადი“** (1891 წელი) და სხვა. აქვე გამოფენილია ჟანდარმთა სამმართველოში ნახული ძველი პროკლამაციები, ბროშურები და რევოლუციონური წიგნები. კედლები სავსეა ჟანდარმთა სამმართველოს არქივში ნახული ჩვენი ძველი რევოლუციონერების სურათებით; აქ ნახავთ კომუნიზმისათვის მებრძოლთა ყველა თაობას, რომელთაც რამდენიმე წელი თვითმპყრობელობის ციხეებში გაუტარებიათ.

არალეგალურ პრესასთან ერთად არსებობდა არალეგალური სამკითხველოებიც და პირველი ასეთი ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო აფანასიევის ბინაზე (კალოუბნის ქ., № 20) 1893 წელს.

რუსეთში ჩვენზე ადრე შეითვისეს მარქსისტული იდეები. რუსეთის მარქსისტებიდან გამოფენილია: პლეხანოვის, კრუპსკაიას, პეტროსოვის, ლენინის, მარტოვის და სხვათა სურათები. 1891 წლის რუსეთის საშინელმა შიმშილმა დიდი მღელვარება გამოიწვია მუშათა მასებში, რომელთაც საგრძნობლად შეუმცირეს ხელფასი. გამოფენაზე ნაჩვენები შიმშილის სურათები საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე; სჭამენ ცხენის დამპალ ხორცს. შიმშილისგან ღონემიხდილ პირუტყვებს მუცელზე ბაწარშემოკრულებს ჰკიდებენ ხეებზე დასასვენებლად ღა მოსაღონიერებლად, რომ ფეხზე წამოდგომა და შრომა შესძლონ.

იმ ხანებში მუშათა მრავალი ჯგუფი არსებობდა რუსეთში: „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ „მიწა და თავისუფლება“, ნაროდნიკების ჯგუფების ნაშთები და სხვა. კარგახანია მზადდებოდა აჯანყების ცეცხლი, რომელმაც 1905 წელს იჩინა თავი. ამ ეპოქის მასალა მდიდრადაა წარმოდგენილი გამოფენის ოთახებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელი.

ამ ეპოქას ჩვენ წიგნებიდან ვიცნობთ. ვიცით, რა სახის რევოლუციონურმა მოძრაობამ იჩინა თავი 1905 წელს, რამ გამოიწვია ეს მოძრაობა და რით დამთავრდა, მაგრამ სულ სხვანაირი შთაბეჭდილება ეძლევა მაყურებელს, როცა გამოფენაზე ეცნობი ამ დროს. თვალწინ წარმოგიდგება მებრძოლთა სულისკვეთება, **გამოკიდებულია კედელზე 1905 წლის დაფეთილი წითელი დროშა, რომელიც ჩვენამდე შემონახულა.** დიდი სურათი: **ზაქრო ჩოდრიშვილი მძიმე ბორკილებში, მერკვილაძე წითელი რაზმით, 9 იანვარი რუსეთში, გაპონის ვერაგული გამცემლობა და მეფის პასუხი მუშათა მოთხოვნაზე.** მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უდიდესი სურათი: გურიის წითელრაზმელთა მოძრაობა. ამ დროს საქართველოში უკვე მოქმედობს კომუნიზმისათვის მებრძოლთა მეორე თაობაც (ორჯონიკიძე, სტეპკო ინწკირველი, მ. ორახელაშკილი, ს. თოდრია, კამო და სხვანი.) მათ ქვემოთ გაკრულია სურათები რევოლუციის ჯალათებისა (ალიხანოვი, გოლიცინი, გრიაზნოვი, მალამა, ვორონცოვ-დაშკოვი, ტიმოფეევი და სხვ.)

არალეგალური სტამბები 1902—1906 წლებში.

ავლაბრის არალეგალური სტამბა. 1902 წელს ჩუღურეთში, გვენცაძის სახლში, მოწყობილ იქნა რ.ს.დ.მ.პ. ა./კ. კავშირის კომიტეტის საიდუმლო სტამბა ლადო დუმბაძის ხელმძღვანელობით. სტამბაში მუშაობდენ ჭიჭიკო კალანდაძე და მ. გოგუაძე. კონსპირაციის მიზნით სტამბა გადატანილ იქნა ავლაბარში, საგანგებოდ აშენებულ სახლში. სტამბას ჩასავალი ჰქონდა საიდუმლო ჭიდან. იქ იბეჭდებოდა ფარული გაზეთები: „Борьба“ (რუსული), „ბრძოლა“ (ქართული) და „ბანვორი კრივ“ (სომხური). სტამბამ 1906 წლამდე იარსება, ხოლო ამ წელს 15 აპრილს პროვოკატორმა თათუზოვმა გასცა სტამბა.

ქუთაისის არალეგალური სტამბა (1904—1906 წ. წ.) 1904 წლის მეორე ნახევარში ქუთაისში ძველ საბანაკო ქუჩაზე. ვასო გოგილაძის სახლში მოწყობილ იქნა ფარული სტამბა. პირველად მუშაობა ხელის უბრალო მანქანით წარმოებდა, შემდეგ კი დადგმულ იქნა „ამერიკანკა“, რომელიც **კამომ** ტფილისიდან ჩამოიტანა. სტამბას განაგებდა ამხ. **ბარონ ბიბინეიშვილი.** ასოთამწყობი იყო **ვალიკო ლეჟავა.** 1906 წლის რეაქციის დაწყების შემდეგ **სტამბა სხვაგან იქნა გადატანილი.**

კედლებზე გაკრულია სტამბის სურათები და ძვირფასი განძია ის, რომ ეს სტამბები გამოფენის ერთ-ერთ ოთახში ჯერ კიდევ დაუჟანგავად დგას.

კედლები სავსეა არალეგალური გაზეთებით, პროკლამაციებით და სასწრაფო ფურცლებით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო ჩვენც დავესწარით 1905 წელს და გამოვცადეთ ამ ბრძოლის სიმწვავე.

მთავრობის პროვოკაცია 1905 წელს.

რომ შეენელებიათ მუშათა რევოლუციონური მოძრაობა, ხელისუფლების წარმომადგენლები პროვოკაციულ ხერხს მიმართავდენ. ეს იყო წაქეზება და ერთმანეთზე სამრად გადაკიდება ა./კ. ერებისა. მთავრობა ხშირად აღწევდა მიზანს და ამ ხანის ისტორია სავსეა შეტაკებების ფაქტებით. გამოფენის ერთ განყოფილებაში ნაჩვენებია თათარ-სომეხთა შეტაკება ბაქოში, შუშაში განჯაში და ტფილისში. ეროვნული შუღლის გაღვივება დიდ სისხლის ღვრას იწვევდა.

მიტინგებისა და დემონსტრაციების დახვრეტაც არ იყო უჩვეულო ამბავი მთავრობისათვის, პირიქით, ეს ძალიან ხშირად ხდებოდა; დააკვირდით გამოფენას: 1905 წლის 29 აგვისტოს ქ. ტფილისის თვითმართველობის დარბაზში ჩაჰკეტეს მუშათა მიტინგი და პირუტყვებივით ჩაჰკლეს 60 მუშა, დასჭრეს 300-მდე. 1905 წლის 22 ოქტომბერს მოხდა „მამულიშვილების“ მანიფესტაცია, რომლებმაც გამოიწვიეს შეტაკება ჯარისკაცებსა და მცხოვრებლებს შორის. შეტაკების დროს მრავალი მოქალაქის სისხლი დაიღვარა. **ამ შეტაკების დროს ბევრი მოწაფეც მოჰკლეს.**

ისინი, ვინც არ ეგებოდა მთავრობის პროვოკაციის ანკესზე, კვლავ განაგრძობდენ რევოლუციონურ მოძრაობას, ამხელდენ მთავრობას და თვალს უხელდენ შეუგნებელ მოქალაქეებს.

გამოფენაზე უხვად არის მოტანილი იმ შეტაკებების მსხვერპლთა სურათები. აუარებელი დახოცილი თევზებივით ჰყრია ქუჩებში და პროსპექტებზე.

რეაქციის ხანა.

დადგა რეაქცია. მეამბოხე მოსახლეობა ყაზახთა ტყვიით და ხმლით განახევრდა. დამსჯელი ექსპედიციების თარეში, ჩხრეკა ქუჩებსა და სახლებში... დატრიალდენ რევოლუციის ჯალათები, დახოცეს, ჩამოაღრჩვეს, კატორღაში გაგზავნეს და ციხის ცივ საკნებში ჩაჰყარეს მუშათა თავისუფლებისათვის მებრძოლნი. ბევრი მათგანი, ვისაც კვლავ შერჩა რევოლუციონური სულისკვეთება, არც ამ სატანჯველს უშინდებოდა და ყოველი ღონით იბრძოდა განთავისუფლებისათვის (პოლიტიკური ტუსაღების გაქცევა ქუთაისის ციხიდან 1907 წელს). გამოფენაზე რეაქციის ხანა განსაკუთრებულ მწვავე შთაბეჭდილებას სტოვებს და სამუდამოდ აძულებს მნახველს თვითმპყრობელობის საშინელებას. რეაქციის ხანაშიც ნაწილობრივ ახერხებდენ რევოლუციონური გაზეთების გამოცემას.

ტერორისტული აქტი და გაქცევა რეაქციის ხანაში.

გამოფენა ამბობს, რომ პირველი ტერორისტული აქტი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მომხდარა. ტფილისის სასულიერო სემინარიის ყოფილმა მოწაფემ იოსებ ლაღიაშვილმა, რომელიც სემინარიიდან გამორიცხეს არალეგალური წიგნების კითხვისთვის, მოჰკლა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი; მკვლელი 19-20 წლისა იყო. რევოლუციის ხანისა და რეაქციის დროს ტერორისტული აქტები გაძლიერდა. ეს გასამართლებელიცაა: დატანჯული ხალხი მხოლოდ ორიოდ ჯალათის მოცილებითაც ელოდა შვებას. ტერორისტული აქტებიდან გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს **არსენ ჯორჯიაშვილის** ტერორი. დახატულია და შემდეგ მიწიდანაც გამოძერწილი დამტვრეული ეტლი, მკვდარი ცხენი და გრიაზნოვი, ყუმბარისგან დაფლეთილები. გრიაზნოვი მოკლულ იქნა 1906 წლის 16 იანვარს. ჯორჯიაშვილი დაიღრჩვეს.

ციხეებსა და კატორღაში მოხვედრილი რევოლუციონერები შეძლებისდაგვარად გარბოდენ. გამოფენაზე დახატულია კამოს გაქცევა 1911 წლის 15 აგვისტოს. იგი მიჩნეული იყო გიჟად თვით გერმანიის გამოჩენილი ექიმების მიერაც, მაგრამ მთავრობა მაინც არ ათავისუფლებდა. მაშინ კამო ზემოხსენებულ წელს გაიქცა ტფილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან ამხანაგების დახმარებით. გამოფენაზე გაქცევის მრავალი ფაქტია. რეაქციის ხანიდან გამოფენაზე აღსანიშნავია: მუშების დახვრეტა ლენაზე 1912 წლის 17 აპრილს ქ. ბოდაიბოში (ირკუტსკის გუბერნია) და სხვა.

რეაქციის ხანამ რამდენიმედ შეანელა რევოლუციონური მოძრაობა, მაგრამ ეს იყო დიდი სამზადისი თვითმპყრობელობის დამხობისათვის. გამოფენაზე ნახავთ სახელმწიფო სათათბიროს ქართული დეპუტატების პორტრეტებს და სხვ.

მენშევიკური ხანა.

რა უნდა დავწერო არ ვიცი, აქ მხოლოდ მშრომელთა აჯანყებების, სისხლის ღვრის, წამებისა და მენშევიკური მთავრობის წევრთა სურათებია გამოფენილი. დავათვალიეროთ მაინც:

1917 წლის 11 ნოემბერს მოხდა ქალაქ ტფილისის სახალხო სახლში თათბირი ა./კ. საოლქო ხელისუფლების მოწყობის შესახებ მიუხედავად ამ. **ფ. მახარაძე** და **მიხა ცხაკაიას** გალაშქრებისა ამ პროექტის წინააღმდეგ, იგი მაინც გატარდა. მახარაძე და ცხაკაია მოითხოვდენ: **„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.**

შეიქმნა კონტრ-რევოლუციონური საოლქო ხელისუფლება ამიერკავკასიაში 1917 წლის 15 ნოემბერს (ძვ. სტილით).

1918 წლის 26 მაისს საქართველო გამოეყო ამიერკავკასიის საოლქო მთავრობას, და გამოცხადდა საქართველოს „დამოუკიდებლობა“. ღერბი, რომელიც გამოფენაზე ძევს, გამოხატავს მენშევიკური აზნოვნების ავლადიდებას: „თეთრი გიორგი“ (ყველა პიონერისათვისაც კი სასაცილოა ეს). წითელი დროშა ეროვნული დროშით შეცვალეს.

განსაკუთრებით ფართე ადგილი უკავია კედლებზე „გვარდიის“ საომარი იარაღების სურათებს და მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების მგზავრობას ჩვენში. ინგლისის, გერმანიის და სხვათა ელჩების სურათები კედლებზე ჰკიდია.

სურათებით წარმოდგენილია: მენშევიკური პირველი და მეორე მთავრობა და მათი წარმომადგენლების ფანქრით ნახატი და ფოტოგრაფიული სურათები.

მენშევიკური დროის გაზეთები: „ერთობა“ „მიწა“ „ახალი სხივი“, „ჩვენი რესპუბლიკა“ „ნაციონალისტი“ და სხვა, სხვადასხვა პარტიებისა და მიმართულების ორგანოები.

ცალკე ჰკიდია ბოლშევიკების დროშა, რომელიც 1918 წლის 10 თებერვალს დახვრეტილ იქნა მიტინგთან ერთად მენშევიკური მთავრობის ჯალათებისაგან, ყოფ. ალექსანდრეს ბაღში.

ბოლოს და ბოლოს ეს კუთხე მხოლოდ მუშების და ღარიბი გლეხების დახვრეტაზე და აჯანყებაზე ლაპარაკობს.

მენშევიკების „საქმიანობა“.

დუშეთის აჯანყება. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1918 წლის ივნისში დუშეთის მაზრაში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება. აჯანყება ჩააქრო მენშევიკების გვარდიამ უსასტიკეს პირობებში. ხელმძღვანელობდენ აჯანყებას: ამხ. ფილიპე მახარაძე, ს. ქავთარაძე, საშა და მიშა გეგეჭკორები, გ. ლაფანაშვილი, ჩუბინიძე და სხვანი.

აჯანყება სამეგრელოში. 1918 წლის მარტის უკანასკნელ რიცხვებში აჯანყდა გლეხობა. ხელმძღვანელობდენ: ამხ. საშა გეგეჭკორი, ბუდუ მდივანი და სხვანი. აჯანყება ჩააქრო ვ. ჯუღელისა და ჯიბლაძის „სახელოვანმა“ გვარდიამ.

აფხაზეთის აჯანყება 1918 წელს. მთელი სამი წლის განმავლობაში მენშევიკებს ომი ჰქონდათ საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობასთან. ისინი განაპირა ოლქებში აწარმოებდენ უტიფარ შოვინისტურ პოლიტიკას, რაც დიდ მღელვარებას იწვევდა მასებში.

1918 წ. მუშებმა და მეზღვაურებმა ჩამოაგდეს სოხუმის მთავრობა, 21 თებერვალს მენშევიკებმა კვლავ აიღეს სოხუმი. 25 მარტს კვლავ ბოლშევიკები დაეპატრონენ ხელისუფლებას, მაგრამ მალე საქ. მენშ. მთავრობის ჯარებმა ჩააქვრეს აჯანყება. აჯანყებას ხელმძღვანელობდენ ეშბა, ლაკობა, კვირკველია, ა. დოლიძე და სხვანი.

26 კომუნარის დახვრეტა. აი კიდევ მენშევიკური ხანის შესანიშნავი საქმიანობა. დიდი სურათი გამოფენაზე გვიჩვენებს 26 კომუნარის დახვრეტის ამბავს 1918 წ. 20 სექტემბერს კასპიის იქითა მხარეს, სადგურ პერევალსა და ახჩაკუიმას შორის, მიყრუებულ ადგილას. ამის შესახებ ალბათ თქვენც საკმაოდ იცით. რამდენიმე მაგალითს კიდევ მოვიყვანთ მენშევიკური მთავრობის „საქმიანობიდან“: მენშევიკურმა მთავრობამ ტფილისში გაასამართლა პატიმარი **ივანოვი**; იგი შემდეგ ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს, სიდგანაც ფარულად გაიყვანეს საღორიის ტყეში და უსაშინელესი ფიზიკურ წამების შემდეგ მოჰკლეს. **სურათზე დახატულია ივანოვი, ნაწლავებგადმოყრილი, საშინლად დასახიჩრებული.** ასეთივე ბედი ეწია მენშევიკების ხელში **პავლე მარდალეიშვილს, რომელიც საღორიას ტყეშივე დახვრიტეს.**

სამხრეთ-ოსეთის აჯანყება. განსაკუთრებით საშინელი იყო მენშევიკური მთავრობის რისხვა ოსეთის აჯანყებული ღარიბი გლეხების მიმართ. გვარდიამ ცეცხლის ალს მისცა ოსეთის სოფლები და მიწასთან გაასწორა იგი.

გამოფენის ერთ ოთახში გაკეთებულია ნამდვილი ციხის საკანი, სადაც **ჩოდრიშვილის** ჭანდაკებაა; დაფლეთილ ნამდვილ ტანსაცმელში ზის, წინ უდგას მხოლოდ წყლიანი საჩაიე, ხმელი პურის ნატეხი და ხმელი საწოლი.

გაშმაგებულ პროვოკაციას აწარმოებდა მენშევიკური მთავრობა კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ და კომუნისტების მიმართ. მაგრამ იგი მაინც ვერ ასცდა კომუნიზმის ძლიერ ტალღას.

„ძალა-უფლება საბჭოებს.“

12 წლის წინად, ოქტომბერში, რუსეთში ხელისუფლება საბჭოებმა აიღეს. კომუნიზმის აჩრდილი იმთავითვე უფრთხობდა საქართველოს მენშევიკებს ძილს და უშხამავდა ცხოვრებას. მალე მენშევიკურ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა.

გამოფენაზე დასურათებულია რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია და სამოქალაქო ბრძოლები. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს გასაბჭოება (1921 წლის 25 თებერვალი), როგორ თანდათან უახლოვდება რევოლუციის ტალღა ტფილისს და როგორი აღფრთოვანებით ხვდებიან მას მუშათა მასები.

ცალკე კუთხეში გამოფენილია ჩვენი მიღწევების სქემები.

ირაკლი აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერის ნაამბობი

მე პატარა პიონერი ვარ, ტფილისში ვსწავლობ. ამ ზაფხულზე, როგორც კი დაგვითხოვეს, დროებით გამოვემშვიდობე სკოლას და მშობლებთან ერთად აგარაკზე წავედი. ტფილისში ძალიან ცხელოდა. აგარაკზე პირველად კიდეც შემცივდა, მაგრამ ეს სიცივე მეტად სასიამოვნო იყო.

მშვენიერი დარი იდგა. დილიდან საღამომდე დავრბოდი ტყეში და ვტკბებოდი ფიჭვნარის საამური სუნით. თან წიგნებსაც ვკითხულობდი და ჩვენს ჟურნალებს „პიონერს“ და „ოქტომბრელს“. ეს ჟურნალები გამოწერილი მქონდა ტფილისიდან და ყოველთვის თავის დროზე მომდიოდა. მალე ჩემი ამხანაგებიც ჩამოვიდენ და ათამდე პიონერმა მოვიყარეთ თავი.

ერთ დღეს დილით ადრე წავედით მახლობელ სოფელში. ძალიან მომეწონა პატარა სუფთა სოფელი, სადაც კომკავშირელებს დაეარსებინათ თავისი უჯრედი. ჩვენ გავიცანით კომკავშირელები, რომლებშიაც ერთი ქოხ-სამკითხველოს გამგე იყო. მას ვკითხეთ და გავიგეთ, რამდენი კომლია სოფელში, რამდენი სული, რამდენია დიდი და პატარა. ყველაფერი ეს ჩავიწერეთ ჩვენს დღიურში.

რადგან ქოხ-სამკითხველოს ბევრი გლეხობა ეტანებოდა და გამგე ვერ ასწრობდა მის დაგვა-დასუფთავებას და დალაგებას, ჩვენ გადავწყვიტეთ დავხმარებოდით ამხანაგს და დღეგამოშვებით დავდიოდით მასთან, ვასუფთავებდით ქოხ-სამკითხველოს, ვალაგებდით გაზეთებს, ჟურნალებს. გარდა ამისა, რვეულში ჩავწერეთ და ნომრობით აღვნუსხეთ თითოეული წიგნი და ჟურნალი. ამის შემდეგ შემოვიღეთ მორიგეობა და ერთი ჩვენგანი ყოველდღე მიდიოდა ქოხ-სამკითხველოში გამგის დასახმარებლად და სამუშაოდ. მალე მთელი სოფლის გლეხობა გავიცანით. მათ ძალიან შეგვიყვარეს და ხშირად გვეუბნეოდენ:

— აი, ნამდვილი მშრომელები, მომავალი კომკავშირელები!

კვირადღე იყო. დილით ადრე მოვიყარეთ თავი ამხანაგებმა და სირბილითა და სიხარულით მივაშურეთ სოფელს. წინ შემოგვხვდენ გლეხის პატარა ბიჭები, რომლებსაც საქონელი გამოერეკათ მინდვრად საძოვრად. სოფელში აღარ წავედით და ბავშებს გავყევით. საქონელი ტყეში შევრეკეთ, სადაც მშვენიერი ბალახი იყო, ჩვენ კი შორიახლო მინდორში ვთამაშობდით და თან საქონელს თვალყურს ვადევნებდით, რომ არ გამოსულიყო ტყიდან და არ მოეჭამა ნახნავ-ნათესი, რომელზეც გლეხს ბევრი ოფლი დაუღვრია.

გლეხის პატარა ბიჭუნებს უცებ დავუმეგობერდით და შეგვიყვარდა ერთმანეთი. შუადღისას ერთად ვისაუზმეთ და შემდეგ კი შინისაკენ გავრეკეთ საქონელი. სოფელში მისვლისთანავე მივაშურეთ სამკითხველოს და თან წავიყვანეთ ჩვენი ახალი მეგობრები. გადავწყვიტეთ იმ დღესვე დაგვწყო პიონერ-კუთხის მოწყობა სამკითხველოში. კომკავშირელმა გოგიმ აგვიხსნა ჩვენ და გლეხის ბავშებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერის კუთხეს, რომელიც პიონერ-ორგანიზაციის და მისი ისტორიის მაჩვენებელია. გოგიმ აგვიხსნა ჩვენი მოძრაობის მიზანი და გვითხრა, რომ ყველა ბავში ჩვენს რიგებში იქნება, მაგრამ ზოგიერთმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რისთვის და როგორ ვმუშაობთო. გლეხის ბავშებს ძალიან მოეწონათ გოგის სიტყვები და დაუწყეს მას ხვეწნა — ჩვენც გვინდა პიონერობა, პიონერებთან მუშაობას. ამ დროს დავინახეთ ვიღაც უცნობი, რომელიც ჩქარის ნაბიჯით და მხიარული სახით ჩვენსკენ მოდიოდა.

— აი, ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე, — სთქვა გოგიმ. უცნობი მალე შემოგვიერთდა და დაიწყო ჩვენთან მუსაიფი. როდესაც გაიგო ჩვენი განზრახვა — პიონერ-კუთხის მოწყობა, მეტად მოგვიწონა ეს აზრი და გვითხრა:

— ვიცი, რომ ყოჩაღები ხართ, ვიცი, რომ გიყვარსთ შრომა. ამიტომ, როდესაც პიონერ-კუთხეს მოწყობთ, შემდეგ მეც დამეხმარეთ და სოფლის ხიდი შევაკეთოთ.

შევთანხმდით და დავნიშნეთ დღე. მთელი სოფლის ახალგაზრდობა გამოსულიყო და აღმასკომის თავმჯდომარესთან ერთად ეზიდებოდა ზოგი რას და ზოგი რას ხიდის შესაკეთებლად. ყველას მხიარული სახე ჰქონდა, ვინ სიმღერითა და ვინ ღიღინით მუშაობდა. დაგვინახეს თუ არა, შემოგვძახეს:

— აგერ, ჩვენი პიონერებიც მოდიან, ჩვენი მომავალი თაობა, ჩვენი სიამაყე.

მთელი დღე ვმუშაობდით და ისე გავერთეთ საქმეში, რომ შიმშილიც კი არ გვიგრძვნია. სამაგიეროდ შეერთებული ძალ-ღონით გაკეთდა ისეთი მშვენიერი ხიდი, რომ თუგინდ დიდი ავტომობილი გაატარე ზედ!

დაბინდებისას უკვე შინ ვიყავი და დაღლილს მალე ტკბილად ჩამეძინა. მეორე დღეს დილით ადრე ავდექი. იშვიათი ლამაზი დილა იყო. წყნარი დარი იდგა და თუმცა სიო არ იძროდა, მაგრამ მაინც გრილოდა. დავიბანე პირი, დავიწმინდე კბილები, სველი ტილოთი დაკიზილე ტანი, ვისაუზმე და ტყეს მივაშურე. არ გასულა დიდი ხანი, და მომესმა საშინელი კივილ-წივილი. მარდად ჩამოვირბინე კიბეზე, ჩამოვედი ქვევით და საშინელი სურათი დავინახე: ცოტა მოშორებით, როგორც ხელისგულზე, მოჩანდა ცეცხლში გახვეული ხის პატარა, ორსართულიანი სახლი. ცეცხლი ისე სწრაფად მოსდებოდა სახლს, რომ ზოგიერთ შიგ მყოფ ვერ მოესწროთ გარეთ გამოსვლა და დავინახე, როგორ გადმოხტა მეორე სართულიდან ვიღაც უცნობი ქალი. სიბრალულმა ამიტანა და არ ვიცოდი, როგორ დავხმარებოდი იქ მყოფთ. ბევრი აღარ მიფიქრია და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვკურცხლე იქითკენ, სადაც ცეცხლის ალი თითქოს ცას ებჯინებოდა და მასაც ემუქრებოდა. მისვლა ველარ მოვასწარი, მთელი სახლი უცებ დაინგრა. არ დარჩენილა დაუმწვარი არც ერთი ნაფოტი. მალე გავიგე, რომ ეს სახლი ყოფილა ღარიბი გლეხის, რომლისთვისაც ნაოშან უცებ ადიდებულ მდინარეს დაუნგრევია და მთლად ერთბაშად წაურთმევია მდინარის პირას აშენებული სახლი. შემდეგ აღმასკომს მიუცია მისთვის ადგილი, ხე-ტყე უფასოდ და მოაგარაკეები კი ფულით დახმარებიან.

— საწყალი კაცი. ეს რა უბედურებაა მის თავს! — გაიძახოდა ხალხი.

უცებ გავიფიქრე და გადავწყვიტე დავხმარებოდით დაზარალებულს, რითაც კი შევძლებდით. შემდეგ ჩემს ამხანაგებსაც მოველაპარაკე და რჩევისათვის მივმართეთ ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარეს. მან მოიწონა ჩვენი აზრი და გვითხრა:

— ყოჩაღ, პიონერებო, კარგი საქმის გაკეთება მოგინდომებიათ და, ვიცი, შესძლებთ კიდეც. დარწმუნებული ვარ, არცერთი მოაგარაკე არ გეტყვისთ უარს დახმარებაზე, აღმასკომი კი დაზარალებულს კიდევ მისცემს ხე-ტყეს უფასოდ.

მეორე დღესვე შევუდექით საქმეს და სამი დღის განმავლობაში ვაგროვებდით ფულს უსახლკაროდ დარჩენილი გლეხისთვის. უარს არავინ გვეუბნეოდა, ყველა გვაძლევდა, ვისაც რამდენი შეეძლო. შეგროვილი ფული ჩავაბარეთ აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელთანაც ვნახეთ სახლდამწვარი, ოჯახაწიოკებული საბრალო გლეხი. როდესაც მან გაიგო ჩვენი ვინაობა და ის, თუ რა ვქენით მისთვის, სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა. ის კმაყოფილი იყო და ჩვენ კი უფრო მეტად.

სუფთა ჰაერზე და მუდამ მოძრაობაში დრო მალე გავიდა. სწავლის დროც მოახლოვდა და დავუბრუნდი ტფილისს, სკოლას. ყოველივე ნახულის შესახებ დაწვრილებით დავწერე და წავუკითხე ამხანაგებს. ახლა ჩემი სურვილია — გაისად ვნახო იმ გლეხის ახალი სახლი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე წელს იყო.

პიონერი ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვავი

მაღალი მთებიდან ხშირად ჩამოდის დაბლობში ზვავი და საშინელ ზიანს აყენებს ადამიანს. ზვავი იცის ზამთრობით და გაზაფხულზე. ზამთარში გაყინულ ძველ თოვლს დაედება ხოლმე ახალი, აცურდება იმაზე და ფერდობებზე დაექანება ოდნავი მიზეზის გამო. ხანდახან საკმაოა ქარის შემოქროლვა, ხმამაღლა დაყვირება, სტვენა, დარტყმა, რომ თოვლის მასა მოსწყდეს და ძირს წამოვიდეს ჩუმად. მაგრამ ეს სიჩუმე მალე შეიცვლება ყრუ ხმაურობად, ჰაერში თოვლის კორიანტელი დადგება და დაფარავს სახლებს, ადამიანებს, ცხოველებს. გადარჩენაზე ოცნებაც კი ზედმეტია. ზვავს თან მიაქვს ყველაფერი, რაც კი გზაზე ხვდება—ხეები, ქვები, ლოდები...

ზვავი საშინელია არა მხოლოდ თოვლის მასით, არამედ ჰაერის საშინელი ამოძრავებითაც, რაც ნამდვილ გრიგალს იწვევს და რისგანაც დიდი ხეები ისე გადაიმტვრევა ხოლმე, როგორც ჩხირები. ეს გრიგალი სახლებს სახურავსაც კი ახდის, შენობებს ანგრევს, უზარმაზარ ქვებს შორს გადასტყორცნის.

ალპებში ბევრი უბედური შემთხვევა იყო. 1719 წელს თოვლის ზვავმა მოსპო ვალისში მთელი სოფელი, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი. ერთი ბიჭი მთელი კვირის განმავლობაში უსმელ-უჭმელი იყო სარდაფში და ვერანაირად ვერ შესძლო გამოსვლა, ვინაიდან თოვლ ქვეშ იყო სახლი დამარხული. ბოლოს, როგორც იყო, ხალხმა მიაღწია იმ სარდაფამდე, მაგრამ ბავში ერთი კვირის შემდეგ მოკვდა სისუსტისაგან. 1749 წელს ას კაცზე მეტი დაიტანა ზვავმა სოფელ გლაუბინდენში ღამით. ხალხს ეძინა. ზოგი სახლი არ დანგრეულა, და დილას ხალხს უკვირდა, ასე დიდხანს რატომ არ თენდებაო, სანამ არ დარწმუნდენ, რომ თოვლ ქვეშ იყვნენ დამარხული. მხოლოდ 60 კაცი გადარჩა.

ზვავი წარმოუდგენელი სისწრაფით მოდის. ამბობენ, ერთი მსახური მთის ბილიკზე მიდიოდა და უცბად დაინახა, რომ 1 1/2 კილომეტრის მანძილზე ზვავი მოდიოდა. ის ბოსლისკენ გაიქცა, რომელიც 15 ნაბიჯზე იყო, მაგრამ მოჰკიდა თუ არა ხელი კარის სახელურს, მოვარდნილმა ქარმა აიტაცა და ხევში გადაისროლა, სადაც თოვლმა დაფარა დაუყოვნებლივ.

ხანდახან ჰაერი ზვავის გამო ისე საშინლად ამოძრავდება, რომ ტყეში რამდენიმე ათას ხეს მოჰგლეჯს და აქეთ-იქით გაფანტავს. პირველ ზვავს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე... ჰაერი გუგუნობს, ზანზარებს. ერთხელ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მოტიტვლდა მთის ქედი, ვინაიდან თოვლი სულ ზვავად ჩავიდა ველად, სადაც 30 ფუტის სიმაღლე ჰქონდა. ხალხმა გვირაბები გააკეთა და ისე ცხოვრობდენ თოვლ ქვეშ. ასეთ შემთხვევებში ძაღლები უწევენ დაუფასებელ სამსახურს ადამიანს.

გაზაფხულმაც იცის ზვავი. თოვლი, რომელიც მთელი ზამთრის განმავლობაში მთის მწვერვალებზე იდვა, ყინულივით მაგრდება. გაზაფხულის სითბო გაალხვობს მის ზედაპირს, წყალი ძირს ჩავა, იქ გაადნობს ძირა ფენას, და თოვლის მასა ფერდობზე დაექანება. ყველაფერს სპობს იგი გზაზე. ეს ძალიან კარგად იციან მთის მცხოვრებლებმა და ამიტომ გაზაფხულზე ერიდებიან შუადღისას სიარულს, ვინაიდან მზის სხივების ზეგავლენით მაშინ უფრო ხშირია ზვავი, დილა-ადრიან მიდიან თავის საქმეზე და თან ერიდებიან იმ ადგილებს, სადაც ხშირია ზვავი.

ცივი ჟრუანტელი უვლის ადამიანს, როდესაც ცა მოწმენდილია, მაგრამ უეცრად გაისმის საშინელი გრუხუნი, და გამოჩნდება თეთრი ქარიშხალი, რომელიც მთიდან მოდის. ეს არის თოვლის ზვავი, რამდენიმე წამის წინ რომ უძრავად იყო. ის იმსხვრევა თოვლის ათას ნაკადად და ველისკენ მისწრაფის. როდესაც ზვავი შეჩერდება, ხმაურიც მისწყდება და თვალის მომჭრელ თეთრ თოვლში გამოჩნდება მიწისა და ქვების შავი მასა, — ეს მან გამოიტაცა დაქანების დროს.

ზვავის ჩამოწოლის დროს თუ თოვლი ვიწრო ხეობაში ჩადის, ის სულ ჰფარავს მას, და მთის მდინარე მის ქვეშ განაგრძობს სვლას, თოვლი კი იმდენია და ისე მკვრივი და სქელი, რომ ზაფხულზეც კი შეიძლება მასზე დატვირთული ურმებით სიარული.

თუ ზვავი მაგარია, მაშინ მთის მდინარეს არ ძალუძს გზის გაკაფვა და ის შეტბორდება, ტბად იქცევა და თანდათან დიდდება.

ხანდახან თოვლი წინ წამოწვდილ კლდეებზე დაეკიდება. ლამაზი სანახავია ის, მაგრამ შიშის აღმძვრელი. ქვეითი თუ ცხენოსანი მგზავრი განაცრისფრებული სახით შეცქერის მას და ცდილობს გაასწროს, განშორდეს ამ საშინელებას. ფოსტალიონი მათრახს არ გადაჰკრავს ცხენებს, ზარებსაც ხსნის მათ, რომ ჰაერის მოძრაობა არ გამოიწვიოს.

ზოგიერთი ცხოველი წინასწარ გრძნობს ზვავის ჩამოწოლას: არჩვები არასოდეს არ არიან იმ თხემებზე, რომლების ახლოს იცის ზვავი, ჭილყვავები ზვავის წინ ყვირილით ეშვებიან მწვერვალიდან და სახლების ახლოს ეძებენ თავშესაფარს. ძაღლები საშინელი ყეფით გამოუხტებიან ხოლმე მკაბავრებს, თითქოს აფრთხილებენ მოსალოდნელი ხიფათის შესახებო. ცხენები გრძნობენ ქარიშხლის მოახლოებას და, რაც ძალი და ღონე შესწევსთ, ეშურებიან მალე მივიდენ უშიშარ ადგილას. ერთმა ცხენმა არ მოისურვა მოგზაურების წაყვანა უკანასკნელი სადგურიდან, რომლის შემდეგ იწყებოდა ხეობა, მაგრამ მას არ მისცეს მოსვენება, დაუშინეს მათრახი, და ის გაჭენდა. ერთი წამის შემდეგ გაისმა საშინელი ხმაური, და მოგზაურები ზვავმა ჩაყლაპა.

ზვავისაგან თავის დასაფარავად ხეებია საუკეთესო საშუალება, და ამიტომ მთიულები ძალზე ზრუნავენ ტყეებზე. შვეიცარიაში ის, ვინც ხეს მოსჭრის, საშინლად დაისჯება.

ზვავი ერთგვარ სარგებლობასაც კი იძლევა: ის ათავისუფლებს იალაღებს თოვლისაგან, რომელიც შუა ზაფხულშიც კი არ გადნებოდა.

მომხიბლავია მთა, მაგრამ გაუტანელია — იქიდან ჩამოწოლილ ზვავს არა ერთი ათასი ადამიანი უმსხვერპლია.

შ. თ.

ჯანსაღი და ახალი სიმღერებისათვის

მხიარული სიმღერა ამხიარულებს პიონერს, მაგრამ ჩვენ სრულიადაც არა ვართ მომხრე მხოლოდ „ლამაზი“ ხმის და „ლამაზი“ სიმღერის—საჭიროა ამ „ლამაზ“ სიმღერაში კლასიური ხაზი იყოს გატარებული. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნ/პ კოლექტივებში, სადაც სიმღერა მასიურ მოვლენადაა გადაქცეული. ხშირად ამ ხაზით დამახინჯებასაც ვხედავთ, ეს კი გამოიხატება იმაში, რომ პიონერები მღერიან ყოვლად მიუღებელ სიმღერებს. საკუთარი დაკვირვებიდან შეგვიძლია. ვსთქვათ, რომ თითქმის ყოველი პიონერი მღერის ასეთ უარსაყოფ და მიუღებელ სიმღერებს, როგორიცაა მაგ.

„სანამ დრო გვაქვს ვიფარფაშოთ,
ხან პეტრუა, ხან კი მაშო,
შენ დაუკარ სათამაშო
დილაი-ბალაი და სხ.

ეს სიმღერები ყოფილი ხალხის და ბიუროკრატების სიმღერებია, რომლებიც შემთხვევით მოხვედრილან საბჭოთა დაწესებულებაში და ცდილობენ ამ ხნის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი სჭამონ და იქეიფონ, პიონერი კი, როგორც ახალი ადამიანი, უნდა შეებრძოლოს ასეთ ღორულ განწყობილებებს, ბრძოლა კი გამოიხატება იმაში, რომ პიონერმა არ უნდა იმღეროს ზემომოყვანილი ხასიათის სიმღერები და სხვასაც შეაგნებინოს მისი მავნებლობა. უბედურება ის არის, რომ ასეთი სიმღერებით გამოსვლას საჯარო გართობის დროსაც ვხედავთ. მაგ., ქალაქის რაიონის ნ/პ ორგანიზაციებმა კოჯორში ბანაკად ყოფნის დროს გამართეს თვითშემოქმედების საღამო, სინამდვილეში ეს თვითშემოქმედების კი არა თვითდამახინჯების საღამო იყო. ცეკავშირის კოლექტივიდან ხელმძღვანელმა ამხანაგებმა გამოიყვანეს პიონერი **მარტიროსოვი** და ამღერეს ასეთი უმსგავსი ლექსები:

„ჩემი ვირი არ მისვენებს, ყოყინობს.
ოპერაში ჩაწერასაც ნდომულობს.
მინდა ერთი ზაიავლენია დავწერო,
და ეს ვირი ოპერაში ჩავწერო“.

ან კიდევ:

„იმერლებო, ფხუკიებო, ცუდებო,“
ტუნელიდან ძალათ გამომძვრალებო და სხ.

რას ნიშნავს ეს? ეს ხომ კუთხური პატრიოტიზმის გრძნობას და შუღლს აღვივებს პიონერებს შორის? ჯერ ერთი, ამ ლექსის მღერის ფორმა ყარაჩოღულ-კინტოურია, ქართული ენა შერყვნილია რუსული სიტყვებით. მისი მავლენობა ხომ უკვე აშკარაა, მაგრამ ბანაკის ხელმძღვანელები უფრო შორს მიდიან, საბჭოს ინიციატივით ეწყობა საჯარო წარმოდგენა, რომელზედაც მუშათა მასა საკმაოდ ესწრება. რა იყო აქ მნიშვნელოვანი? მარტიროსოვის მაგივრად გამოდიან პიონერები და მღერიან:

„კომუნისტებს მოეთხაროთ თვალები,
ვერ ვიხადე მე ამდენი ვალები.
ვერ ვისვენებ, ადგილზე ვერ ვჩერდები,
გულს მიშფოთებს ყველგან ოჩერედები“.

ან:

„ავტომობილს ვინ-ღა გაეკარება,
ვინ-ღა იცის ეხლა მისი ტარება.
შიგ ჩაჯდები—მუცელს აგიჯანყებენ“ და სხვ

ასეთივე ამბავი განმეორდა ქვიშხეთშიაც. რა არის ეს? ეს ხომ საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის დაცინვაა! ეს ხომ მასხარად აგდებაა საბჭოთა შოფერების! რას ამბობს და ამტკიცებს ყოველივე ეს? იმას, რომ ჩვენთან სიმღერის დარგში მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ნორმალურ დონეზე დაყენებული. სიმღერის საქმის მესვეურებს ავიწყდებათ, რომ სიმღერა არ უნდა გადაიქცეს მახინჯ იუმორად; ჯანსაღმა სიმღერამ უნდა შექმნას ჯანსაღი იუმორი, აი ჩვენი ლოზუნგი. სიმღერა არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ უსაგნო გაღიმებას, ის უნდა ჰქმნიდეს იმ გრძნობებს, რომლებიც კომუნისტური საფუძვლიდან უნდა იქნეს წარმოშობილი. არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება: სიმღერას, როგორც ზედმოქმედების იარაღს, თუ ის იქნება მოცემული მახინჯ ფორმებში, შეუძლია მახინჯად იმოქმედოს პიონერზე.

ამხ. **ლუარსამიძე** ჟურნ. „პროლეტ. მწერლობაში“ საბავშო ლიტერატურის საკითხის გარჩევის დროს ამბობდა, რომ **„ბავშისათვის საჭიროა ჯანსაღი და იდეოლოგიურად გამართლებული ლიტერატურა“**. ჩვენ სიმღერის დარგში გადმოვიტანთ ამხ. ლუარსამიძის სიტყვებს, რომ **პიონერებისათვის საჭიროა ჯანსაღი და იდეოლოგიურად გამართლებული სიმღერა, ამისათვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ განდევნილ იქნეს ყველა მახინჯი სიმღერა.** საჭიროა როგორც იდეოლოგიით, ისე ფორმით ახალი, ცოცხალი სიმღერის შექმნა. ზოგიერთი ხელმძღვანელი ნ/პ კოლექტივებში სიმღერის არსებობის საფუძვლად სთვლის იმ გარემოებას, რომ არავითარი სახელმძღვანელო მასალა ან ინსტრუქცია არ არსებობს ამ დარგში. ასევე ხსნიან ისინი მიუღებელი სიმღერების არსებობას.

ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ეს სრულიანად ასე არ არის: ჟურნ. **„პიონერი“** და **„ოქტომბრელი“** ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. ყურადღების მიქცევა კი გამოიხატება იმაში, რომ ჟურნალების ყოველ ნომერში მოთავსებულია სამუსიკო განყოფილებები,[1] სადაც ბევრი ახალი სიმღერაა შექმნილი და ლექსების იდეოლოგიური მხარე უზრუნველყოფილია. (ლექსების უმრავლესობა ეკუთვნის პროლეტ-პოეტს **ალ. მაშაშვილს**).

[1]) გარდა ამისა სახელგამის საბავშო ლიტერატურის განყოფილების მიერ გამოცემულია მუსიკალურ ნაწარმოებთა (საბავშო ოპერები, სიმღერები და სხვ.) კრებულები. რედაქცია.

მართალია, ჟურნალებში არ თავსდება თეორიული ხასიათის ან მუსიკის ისტორიის შესახებ წერილები, მაგრამ ამ გარემოებას საქმის არსებით მხარესთან დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: ამ განყოფილებებიდან **სიმღერების ამოღება და მათი პოპულარიზაცია.** დროა ეს საკითხი მოგვარდეს და შეიქმნეს მის გარეშემო საზოგადოებრივი აზრი.

აუცილებელია აგრეთვე შეუნელებელი ბრძოლა იმ სიმღერებთან, რომლებიც მიუღებელნი არიან, მაგრამ ნაწილობრივ გაბატონებულნი არიან ნ/პ კოლექტივებში.

პიონერი **გოგი ლომიძე.**

როგორ ჩატარდა ოქტომბრის 12 წლის თავი უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეს მოეწყო დიდი გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხოია-სლოვაკეთში, ავსტრიაში, პოლონეთში, შვეიცარიაში, ჩინეთში, იტალიაში, ინგლისში, ლატვიაში, მონღოლეთში, რუმინეთში, ბელგიაში, იაპონიაში და სხვაგან. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ **კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი აღევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიღწევებს სამეურნეო-კულტურულ ფრონტზე და აღუთქვამს მედგარ დახმარებას იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ინტრიგების და საომარი გეგმების ჩასაშლელად.**

ყველგან გამოვიდენ მუშები და მოითხოვეს: „შორს ბინძური ხელები საბჭოთა კავშირისაგან“, „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“ და სხვა, რამაც გამოიწვია მათი უსაშინელესი დევნა პოლიციის მიერ; თითქმის ყველგან მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის.

მაგრამ, ამხანაგო პიონერებო, ყველაზე უფრო დამახასიათებელია ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავთან დაკავშირებით გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში **„როტე ფანე“-ში** მოთავსებული წერილი ამ სათაურით **„მსოფლიო რევოლუციის მეორე ლაშქრობა“**, სადაც ძირითად დებულებადათაა წამოყენებული რომ **გერმანია უნდა დაადგეს ბოლშევიზმის გზას.** ეს წერილი საყურადღებოა მით, რომ აქ გამოთქმულია გერმანიის რევოლუციონური პროლეტარიატის (და განა მარტო გერმანიის?) ბოლშევიკური განწყობილება და მოთხოვნები.

მოგვყავს ამ წერილიდან დიდი ამონაწერი:

ჩვენ აშკარად და გარკვეულად ვაღიარებთ პროლეტარული დიქტატურის ლოზუნგს. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიო რევოლუციის მეორე ლაშქრობას მეორე ოქტომბრის ბრძოლისაკენ გერმანიაში, ოქტომბრის რევოლუციის განსახორციელებლად.

როდესაც გერმანიაში პროლეტარული დიქტატურა გაბატონდება, კაპიტალისტურ რეჟიმს შესცვლის რევოლუციონური წესრიგი, რომელიც გატარებული იქნება მტკიცე ხელით.

თავისი არსებობის პირველ დღესვე გერმანიის საბჭოთა მთავრობა ნაკუწ-ნაკუწად აქცევს იუნგის გეგმას, გაბათილებულად გამოაცხადებს უცხოეთის ვალებს, განახორციელებს ფაბრიკების, ბანკებისა და რკინისგზების ნაციონალიზაციას, საჯაროდ გაჰკიცხავს და დახვრეტს უკანასკნელი მსოფლიო ომის და მომავალი ომის გენერლებს, საკონცენტრაციო ბანკში გაგზავნის და დახვრეტს მრეწველობის პატრონებსა და ბანკირებს, ნოსკესა და ურიხებს თავს დაატეხს ისეთ მეხს, როგორც ჩეკამ განუკუზადა რუს კონტრ-რევოლუციონერებს. ყველა სამრეწველო საწარმოში შემოღებული იქნება 7 საათის სამუშაო დღე და ოთხდღიანი სამუშაო კვირა; უმუშევრები მიიღებენ სრულ სამუშაო ხელფასს, ხოლო მუშა-ქალები და მუშა-ახალგაზრდობა — თანაბარ ხელფასს თანაბარი შრომისათვის; გერმანიის საბჭოთა მთავრობა იზრუნებს, რომ მუშების შვილებს ჰქონდესთ ყველაფერი, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. რომ ამ ბოლშევიკური პოლიტიკის გატარება უზრუნველჰყოს მტრის პოლიტიკისაგან და მტრის თავდასხმისაგან, საიდანაც გინდა გამომდინარეობდეს იგი, გერმანიის საბჭოთა მთავრობა შეაიარაღებს 10-დან 15 მილიონამდე კლასობრივად შეგნებულ გერმანელ მუშას და შეჰქმნის წითელ არმიას და გერმანიის პროლეტარულ ჩეკას.

ასეთია პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის იბრძვის კომუნისტური პარტია, იბრძვის მტერთა წინააღმდეგ და იტანს ყოველგვარ დევნასა და ცილისწამებას, ბრძოლაში იგი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციონური პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას, ეყრდნობა ამ პროლეტარიატის ნებისყოფას, რომელიც ძალა-უფლების დაპყრობისკენაა მიმართული, ეყრდნობა პროლეტარიატის რწმენას, რომ იგი გაიმარჯვებს“.

ამხანაგებო პიონერებო! როგორც ვხედავთ, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ჩატარდა ოქტომბრის 12 წლის თავი, ყველგან გამოვიდენ მუშები და მოითხოვდენ: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს მთელს მსოფლიოში!“, „შორს ხელები საბჭოთა კავშირისაგან“ და სხვა.

შორს არაა ის დრო, როდესაც მსოფლიო რევოლუციოაური პროლეტარიატი ლენინური კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით დასცემს კაპიტალისტურ და ფასშისტურ, იმპერიალისტურ და მენშევიკურ მთავრობებს და დაამყარებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს.

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს და მის ხელმძღვანელს — ლენინურ კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ვ — ო.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია: **მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, ვ. ლუარსამიძე, ალ. მაშაშვილი და გ. აბესაძე.**

მთავლიტი № 1806. სახელგამის სტამბა, სომხის ბაზარი, № 22. შეკვ. № 644. ტირ. 1500.